ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

თავს მშვენებლებად ასალებდნენ, სახლებს ძარცვავდნენ

პოლონეთში ორი ქართველი დააკავეს

გვ.2

ორშაბათი, 10 ივლისი, 2023 №133 (9169) ფასი: 80 თეთრი

„საპატრიარქოში ბანდიტური გარჩევებია, ქონების გადანაწილებისთვის იბრძვიან“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ვის შეეძლო მეუფე შიოს მოწამვლა? მხოლოდ საპატრიარქოში მყოფ ადამიანს შეეძლო შეეტანა ციანიდი თუ დარიშხანი!“

გვ.3

„სააკაშვილი გამაერთიანებელი ლიდერი ვერ იქნება“



რამაზ საყვარელიძე: „მესამე ცენტრის შექმნა რთული ამოცანაა“

გვ.3

„რუსეთში თუ არეულობა დაიწყება, ცხინვალი უკვე ჩვენსკენ შემობრუნდება“

გურამ ვახტანგაშვილი: „ახლა შეიძლება ვითარება ისე წარიმართოს, ჩრდილო ოსეთი შეგვეხვეწოს, საქართველოს შემადგენლობაში შეგვიყვანეთო“

გვ.4

ირაკლი კობახიძე: „600 დღე კვდებოდა და ახლა აღარ კვდება“

გვ.2

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო თავის წვლილს შეიტანს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დიდ მშენებლობაში“

5 მეუფე შიოს მოწამვლა — გამოძიება შესაძლოა შორენა თეთრუაშვილით დაინტერესდეს

6 ბაიდენმა უკრაინას კასეტური ბომბები გადასცა

7 შვიდქალა ნაკრებმა ისტორიულ შედეგს მიაღწია

6 ინციდენტი კიევო-პეჩერსკის ლავრაში

1993230720223

„საპატრიარქოში ბანდიტური გარჩევებია ქონების გადანაწილებისთვის იბრძვიან“

პაატა ზაქარეიშვილი: „ვის შეეძლო მეუფე შიოს მოწამვლა? მხოლოდ საპატრიარქოში მყოფ ადამიანს შეეძლო შეეტანა ციანიდი თუ დარიშხანი!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? თბილისი პრაიდთან დაკავშირებით რაც მოხდა, ვისმენთ შეფასებას, რომ ეს 5 ივლისის გაგრძელება იყოო, რომ ძალიან არადემოკრატიულია ეს ყველაფერი. ჩნდება განცდა, რომ თითქოს ხელისუფლება ახალისებს ამ მოძალადე ჯგუფებს. რას იტყვით თქვენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– რაც დღეს საქართველოში ხდება, ძალიან შემაშფოთებელია. ხელისუფლება აშკარად ცდილობს, ხელი შეუწყოს იმ ძალების გაძლიერებას, რომლებიც ებრძვიან ევროპულ მომავალს საქართველოში. თვითონ ხელისუფლება პირდაპირ ვერ ურტყამს ევროპულ მომავალს, მარტო ლაპარაკი შეუძლია. თუმცა ასეთი ფაშისტური ფორმებით იბრძვის. ასე იწყებდა ჰიტლერი! მანაც სწორედ ლგბტ საზოგადოების დარბევებით დაიწყო. მერე გადავიდა უკვე კომუნისტებზე, სოციალისტებზე, ებრაელებზე და მერე დაიწყო ის ყველაფერი, რაც მთელმა მსოფლიომ იცის. თუ ვინმეს ჰგონია საქართველოში, ვინც ნეიტრალურად თვლის თავის თავს და ჰგონია, რომ ეს მას არ შეეხება, ცდება.

– ეს იყო ტერორი?

– ეს არის საშინელი ფორმა ადამიანების დატერორებისა, რაზეც ასე თავხედურად გადავიდა „ქართული ოცნება“, თანაც ისე აკეთებს ამას, თითქოს მას ეს ყველაფერი არ ეხება. ამაზე საჭიროა ხმის ამოღება და მეტი ლაპარაკი. რა დროს ევროპული მომავლის გადარჩენაა, ახლა საქართველო უნდა გადავარჩინოთ ფაშიზმისაგან. ეს ხალხი ვერ იტანს ვერავის. როგორ დაერივნენ ეს საცოდავები კოკა კოლის ბოთლებს. რა გაუბედურებული ხალხია. საცოდავები არიან! სწორედ ამიტომ არ შეიძლება ქვეყანაში სიღარიბე. ფაშიზმი იბადება სიღარიბეში. სწორედ ეს არის „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი დანაშაული, ის სიღარიბეს უწყობს ხელს, რათა ღარიბი ხალხი იყიდოს არჩევნების წინ, ან დაგეშოს განსხვავებული აზრის წინააღმდეგ.

„რუსეთს ჰყავს რამდენიმე კანდიდატი, რომელიც შეიძლება გახდეს პატრიარქი. ჩაფრენილია, ჩაბღაუჭებულია საქართველოზე“

– ანუ ამ აგრესიულ ჯგუფებს ხელისუფლება ახალისებს და თავად უწყობს ხელს ამ პროცესებს?

– პირადად მე, ვერ გავიგე, ვის იცავდა პოლიცია. მე მგონია, რომ შეთანხმებული და ორკესტრირებული იყო პოლიციასთან ერთად. მე ვნახე, პოლიცია აშკარად იყო მოტივირებული, რომ ძალიან არ შეეშალა ხელი ამ ფაშისტური ორგანიზაციის საქმიანობისთვის. მე მგონია, რომ ეს იყო ხელისუფლების მხრიდა კარგად დაგეგმილი ოპერაცია. ეს ადგილი სწორედ თავად შეურჩიეს, ახლა პასუხი აგონ ამ სამარცხვინო ქცევაზე. პოლიციამ ვერ მოახერხა შეკრების და მანიფესტაციის პირობების დაცვა.

– ბატონო პაატა, ძალიან მძიმე საყურებელია, როდესაც ამ ძალადობის წახალისებაში მონაწილეობს ეკლესია. ეს საკმაოდ მტკივნეული თემაა, რატომ ძალადობენ ეკლესიის სახელით?

– ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელსაც ეკლესიასთან გარკვეული ურთიერთობები გამაჩნია და მიმაჩნია ჩემი თავი მორწმუნედ, მე მკაფიოდ გამოვყოფ ერთმანეთისგან ეკლესიას და საპატრიარქოს. ეკლესია არის ქრისტეს მიერ შექმნილი, სადაც ადამიანები ღვთის მადლს ღებულობენ და საშუალება აქვთ, თავი დაიცვან ქვეყანაში არსებული ბოროტებისაგან. ამ დროს რა ხდება? ეკლესიას ამოფარებული საეჭვო ტიპები, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ აქვთ სახარებაზე, წარმოდგენა არა აქვთ ქრისტიანობაზე, წარმოდგენა არა აქვთ მართლმადიდებლობაზე, ჭკუას გვასწავლიან, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ და სავსე არიან ბოღმით და ღვარძლით.

– ბატონო პაატა, რა ხდება საპატრიარქოში? რა პროცესები მიმდინარეობს?

– საპატრიარქოში ხდება, ჩვენდა საუბედუროდ, ის, რომ ყველასთვის საყვარელი ადამიანი, პატრიარქი, რომელიც დიდი ავტორიტეტია და პატივსაცემია, მოხუცდა, დაბერდა, ავადაა და ახლა მისი გარემოცვა იყოფს მის მემკვიდრეობას. უკვე ცდილობენ, რომ საქართველოში პატივსაცემ ადამიანს მაქსიმალურად გაუმწარონ სიცოცხლე, რათა რაც შეიძლება სწრაფად გაიყონ ის მემკვიდრეობა, რაც შესაძლოა მათ დარჩეთ პატრიარქის შემდეგ. ეს არის მემკვიდრეობის განაწილების უბინძურესი ფორმა. იქ საკმაოდ ბევრი ადამიანია, ვისაც აქვს იმედი, რომ პატრიარქის წასვლის შემდეგ, მათ შეიძლება რაღაცა დარჩეთ.

საპატრიარქოს გარეთ მყოფ არც ერთ ადამიანს ეს არ ადარდებს. ეს შიგნით ხდება ყველაფერი. შიდა პროცესია.

– გარედან გვებრძვიანო...

– ასე არ არის. ეს ბინძური ადამიანები აძლევენ თავის თავს უფლებას თქვან, რომ ვიღაცა ებრძვის ეკლესიას. არა, ბატონებო! თუ ეკლესიას ვინმე ებრძვის, ხართ თქვენ, ვინც ამას ლაპარაკობთ, ვინც პირს აღებს და ამბობს, რომ ვიღაცა ებრძვის ეკლესიას, აი სწორედ ის ებრძვის ეკლესიას. არც მე, არც თქვენ და არავის არ შეუძლია ის მემკვიდრეობა მიითვისოს, რაც შიგნითაა. მხოლოდ მათ შეუძლიათ ამის გაკეთება, ვინც საპატრიარქოს შიგნითაა. ამიტომ, კეთილი ინებონ და თქვან, ვინ არის დამნაშავე, როცა ასეთი უბედურებები ხდება! ციანიდი იქნება თუ დარიშხანი და ათასი უბედურებები, თქვან, ვინ არის დამნაშავე! თქვენ შეიტანეთ და მე შევიტანე იქ ეს საწამლავები?! შიგნით ხდება ყველაფერი! ეს მხოლოდ შიდა გარჩევებია! ამიტომ, არავინ ეკლესიას არ ებრძვის, გარდა თვით შიგნით მყოფი ადამიანებისა!

– ვინ შეცვლის პატრიარქს, ამისთვის მიდის ეს დაუნდობელი ბრძოლა?

– არა მარტო პატრიარქობისთვის, მთელი პირამიდაა. ყველა პატრიარქი ხომ ვერ გახდება. ერთი გახდება, ხოლო დანარჩენები სიკეთეებს მიიღებენ. ბიზნესსიკეთე და კიდევ სხვადასხვა სახის სიკეთეები იქნება. ანუ ეს არის არა ერთი და ორი ადამიანის ბრძოლა, არამედ მთელი მათი გუნდების ბრძოლა. გააფთრებულები იბრძვიან, რომელი გუნდი მოიპოვებს წარმატებას. ყველამ იცის, იქ ვინ ვინ არის.

– ანუ კლანური დაპირისპირებაა საპატრიარქოში?

– ცალსახად ასეა! არაფერი ამას საერთო არა აქვს ქრისტიანობასთან, ქრისტეს მოძღვრებასა და სახარებასთან. ეს არის წმინდა წყლის ბანდიტური გარჩევები. ვინ იქნება კრიმინალურ სამყაროში წარმატებული კრიმინალი, დაახლოებით ეს სიტუაციაა. ქართულ საზოგადოებაშიც კი არ არის ის სიბინძურეები, რასაც ახლა ჩვენ ვხედავთ, აი, ამ მოწამვლების მცდელობებით.

– მოწამვლის და გარდაცვალების ფაქტი რამდენად შეიძლება კავშირში იყოს ერთმანეთთან?

– გამორიცხული არ არის, ეს გამოძიებამ უნდა გვითხრას. ამ ქალბატონის გარდაცვალება პირდაპირ კავშირში რამდენად არის, ვერ ვიტყვი, მაგრამ ის, რომ მეუფე შიო მოწამლული იყო, ეს აშკარად ჩანს. თვითონ ეკლესიის წარმომადგენლებიც არ მალავენ. მეუფე შიოს კი არა, პატრიარქის წინააღმდეგ იყო ციანიდის გამოყენების მცდელობა.

– ანუ კონკურენტების მოშორების მცდელობას აქვს ადგილი?

– დიახ, სწორედ ასეა.

– ბატონო პაატა, რამდენად ხედავთ ამ ყველაფერში რუსულ ბინძურ კვალს?

– ცალსახად არის. რუსეთი ერთადერთი არაა, მაგრამ ყველაზე დიდი გავლენა აქვს საქართველოს საპატრიარქოზე. რუსეთს ჰყავს რამდენიმე კანდიდატი, რომელიც შეიძლება გახდეს პატრიარქი. ჩაფრენილია, ჩაბღაუჭებულია საქართველოზე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა და გავლენიანი და ავტორიტეტული ფენომენია კავკასიაში. ისლამურ სამყაროშიც კი.

– მეუფე შიოც მათი კანდიდატია?

– დარწმუნებული ვარ, რომ ასეა. გაიხსენეთ, როდის მოხდა მეუფე შიოს თანამოსაყდრედ დანიშვნა? სანამ ეს მოხდებოდა, რამდენიმე დღით ადრე, თბილისში ჩამოსული იყო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელი ალფეევი, რომელიც მაშინ ითვლებოდა ყველაზე წამყვან ფიგურად რუსეთში. უკრაინის ომი რაც დაიწყო, ის ჩამოაქვეითეს და გაუშვეს უნგრეთში ეპისკოპოსად. ახლა ისე ძლიერი აღარაა ალფეევი, მაგრამ მაშინ ძალიან ძლიერი და გავლენიანი იყო. როგორც კი ალფეევი წავიდა საქართველოდან, ორ დღეში გამოცხადდა მეუფე შიოს თანამოსაყდრეობა. მე მაშინვე ვთქვი, რომ ეს აშკარად რუსეთის მიერ შერჩეული კადრი იყო და არც ვაპირებ, რომ ჩემს სიტყვებზე უარი ვთქვა. თუმცა მე დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ რუსეთს არ ეყოლება მარტო ერთი კანდიდატი. რამდენიმე კანდიდატი ყავს.

– ვის ინტერესებში შედიოდა მეუფე შიოს მოწამვლა? თუ რუსეთის კადრია, მათ აწყობდათ ეს ყველაფერი?

– რატომაც არა. მე ვერ ვიტყვი, რომ ეს არ შედის რუსეთის ინტერესებში. შესაძლოა მეუფე შიომ არ გაუმართლა და ურჩევნიათ, სხვა კანდიდატი წამოწიონ. ამას არ გამოვრიცხავ. მით უმეტეს, ბევრი რამ შეიცვალა. ალფეევი ვახსენე, ის აღარაა დღეს რუსეთში პოპულარული. თითქმის განდევნილია რუსული ეკლესიიდან. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთში მეუფე შიოც აღარ იყო იმ ჯგუფისთვის მისაღები, რომელმაც ის წინ წამოწია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ დიდი სიფრთხილე გვჭირდება.

– რა დაალაგებს ამ სიტუაციას?

– საპატრიარქოში თუ ქვეყანაში?!

– სიტუაცია ორგანვე აჭრილი და დასალაგებელია. სადაა გამოსავალი?

– საქართველოში სიტუაციას დაალაგებს არჩევნები. საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ ფაშიზმი მოდის და ამას ასე იოლად ნუ შევხედავთ. ასე იოლად უყურებდა მთელი მსოფლიო ჰიტლერს და რაც მიიღო მსოფლიომ, ვიცით. რაც შეეხება საპატრიარქოს, იქ სიტუაციას დაალაგებს ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ხელებს არ უნდა აფათურებდეს ეკლესიაში. ესენი თავის კანდიდატს ეძებენ, რუსეთი თავის კანდიდატს. აუცილებელია პროდასავლური ეპისკოპოსების გაძლიერება მოხდეს. კონსტანტინეპოლის ეკლესიის ორიენტაცია უნდა ავიღოთ ჩვენ. საქართველოს ეკლესიამ მკაფიოდ და ცალსახად უნდა აიღოს ბერძნული ეკლესიის მხარე. დღეს მართლმადიდებლობა ორ ნაწილადაა გაყოფილი, ბერძნულ ნაწილად და რუსულ ნაწილად. დროა, ჩვენც ბერძნული ნაწილის მხარეს დავდგეთ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო თავის წვლილს შეიტანს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დიდ მშენებლობაში“

– საქართველოს, ამ ცნობილ ასამბლეაში დამკვირვებელ ქვეყანას, დიდწილად განზოგადებული ფრანკოფილიის გარდა, ფრანკოფონიის ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის 48-ე სესიის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ფრანკოფონიის საპატიო საპარლამენტო ასამბლეის თბილისში მიღება პრივილეგია, დიდი სიხარული და საქართველოსთვის პატივია.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ფრანგულენოვანი ოჯახის შეკრების შემდეგ, დაწესდა ქართული გონკურის პრემია ქართველი მკითხველის მიერ შერჩეული ფრანგულენოვანი ავტორების დასაჯილდოებლად.

– ამასთან, გამოცემა Agora – სპეციალიზირებულია ფრანგულენოვანი ნაწარმოებების ქართული თარგმანების რედაქტირებაში, ისევე, როგორც ყველა სხვა გამომცემლობასა და სკოლაში, უნივერსიტეტებში, რომლებიც ეძღვნება ფრანგული ენის პოპულარიზაციას და განვითარებას, ფრანგული სკოლა – მთავარი სახლი და ემბლემური ადგილია ფრანგულენოვანი ადამიანებისთვის, უფრო მეტიც, ჩემი შვილები იქ სწავლობენ, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი ოჯახური ტრადიცია ფრანგულენოვანი სამყაროს შესახებ.

ჩვენი ხელოვანები, კინორეჟისორები და მეცნიერები, ისევე, როგორც ჩვენი უახლესი წარსულიდან ამ სფეროების წარმომადგენელი დიდებული ადამიანები, ინარჩუნებენ ძალიან მჭიდრო კავშირებს საფრანგეთთან და ფრანგულენოვან სამყაროსთან, ჩამოაქვთ ცოდნა საქართველოში და აცნობენ მას საზღვარგარეთ.

ასევე ვემზადებით პარიზის წიგნის საერთაშორისო ბაზრობისთვის, სადაც საქართველო იქნება საპატიო სტუმარი ერთ-ერთ მომდევნო გამოცემაზე და წარადგენს თავისი ლიტერატურის, პოეზიისა და კულტურის საგანძურებს ფრანგულ ენაზე.

ჩვენმა მთავრობამ დააწესა სტიპენდიები ქართველი ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც სურთ განათლება მიიღონ ფრანგულ და ფრანგულენოვან უნივერსიტეტებში, ჩვენ მათ ამის საშუალებას ვაძლევთ საფრანგეთის მთავრობასთან ერთად, თბილისში მათი საელჩოს მეშვეობით, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

თავს მშენებლებად ასაღებდნენ, სახლებს ძარცვავდნენ — პოლონეთში ორი ქართველი დააკავეს

პოლიციელებმა პოლონეთის სხვადასხვა კუთხეში ძარცვისთვის ორი ქართველი დააკავეს.

გამოცემის ცნობით, შენობებში მოსახვედრად ქართველები თავს მშენებლებად ან ყვავილების გამყიდველებად ასაღებდნენ. მძარცველები ხშირად იცვლიდნენ იმიჯსაც. ერთ-ერთი მათგანი, სხვა დანაშაულებში იყო ეჭვმიტანილი და ინტერპოლით იძებნებოდა.

დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან ფულის და ძვირფასეულობის მოპარვაში. ერთ-ერთი ძარცვის დროს, ისინი შვილის ბინაში მისულმა ქალმა აღმოაჩინა. მოძალადეებმა ქალს დაარტყეს და ძვირფასეულობასთან ერთად გაიქცნენ.

როგორც გამოცემა წერს, დაკავებულია 37 და 42 წლის ორი ქართველი ვროცლავში. მათ მანქანაში 200.000-მდე ზლოტი და სამკაულები აღმოაჩინეს.

ორივე მამაკაცი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ დააკავეს. მათ 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი გამაერთიანებელი ლიდერი ვერ იქნება“

რამაზ საყვარელიძე: „მესამე ცენტრის შექმნა რთული ამოცანაა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, აშკარაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებისთვის მზადება დაიწყო. რა პროცესი მიდის ოპოზიციაში, რამდენად შეძლებს ოპოზიცია საერთო ლიდერზე შეთანხმებას?

– ოპოზიციაში ჯერ ისევ დაბნეულობაა. ჯერ ისევ ქაოსია. მიხეილ სააკაშვილის ფიგურა არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სხვა ოპოზიციური ჯგუფებისთვის მიმზიდველი იყოს. ის უფრო კონკურენტად აღიქმება, ვიდრე გამაერთიანებელ ლიდერად. ის კონკურენტია საკუთარ პარტიაში, პარტიის ახალი თავმჯდომარისთვის. ამდენად, რთული წარმოსადგენია, რომ სააკაშვილი გამაერთიანებელი აღმოჩნდეს.

მეორე, ოპოზიციის გაერთიანება არ ნიშნავს მეტ ხმას. შეიძლება იმ გაერთიანებაში შედიოდეს ისეთი პარტია, რომელიც არ იყოს მიმზიდველი იმ ამომრჩევლისთვის, რომელიც ოპოზიციურად არის განწყობილი, მაგრამ კონკრეტული პარტიის გამო თავი შეიკავოს არჩევანისგან. ამიტომ, ეს არ არის მარტივი გზა, რომელიც ოპოზიციას მარტივ თუ უპირობო გამარჯვებამდე მიიყვანს.

არის კიდევ სხვა ფაქტორები, ისეთი, როგორიც უკვე აღვნიშნეთ, კონკრეტულად ლიდერის საკითხს ვგულისხმობ. ასევე გაერთიანების დროს წინა პლანზე მოდის საარჩევნო სიების, ადგილების საკითხი. ხშირ შემთხვევაში პარტიები არ არიან მზად, თავიანთი ადგილები დათმონ ან ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე საქართველოში, ყველას პირველობა უნდა. ეს ის საკითხებია, რომელზე შეთანხმება ძალიან რთულია. არის კი მზად დღეს ამისთვის ოპოზიცია?! სიმართლე გითხრათ, მე ასეთ მზაობას მათში ვერ ვხედავ.

– თვითონ ოპოზიციაში არის აზრი, რომ ცალ-ცალკე ბევრად უფრო მეტს შეძლებენ.

– რთული სათქმელია. ბევრად უფრო ცხადია მმართველი პარტიის პოზიცია, რომელიც შეეცდება, ოპოზიციის სისუსტეზე, ოპოზიციის თავმოუბმელობაზე ააგოს თავისი წარმატება. თუ ასე წავიდა პროცესი და რამე არ შეიცვალა, სწორედ ოპოზიციის სისუსტე იქნება „ქართული ოცნების“ მორიგი გამარჯვების გარანტი.

– შეცვლაში რას გულისხმობთ? ვინმე სრულიად ახალი ძალის, ლიდერის გამოჩენას?

– დიახ. თუმცა, გააჩნია, ვინ იქნება „ეს“ ახალი. ეს იქნება სრულიად ახალი ძალა, თუ ეს იქნება, მაგალითად, „ქართული ოცნების“ განაყოფი, რომელიც დამოუკიდებლად გავა არჩევნებზე და შეეცდება ე.წ. განაწყენებული ამომრჩევლის შემობრუნებას. არის კიდევ ერთი შემთხვევა, რა დროსაც „ოცნებას“ დასჭირდება ასეთი პოლიტიკური მანევრი, ეს ეხება სტატუსის საკითხს. თუ სტატუსს არ მოგვცემენ დეკემბერში, მაშინ მმართველ პარტიას მოუწევს გარკვეული პოლიტიკური სვლების გაკეთება.

– ამ შემთხვევაში „ოცნება“ თავს დაიზღვევს და შექმნის სატელიტ პარტიას?

– რა თქმა უნდა. ეს სწორედ ამიტომ გაკეთდება. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან ასეთი მანევრი „ოცნებას“ არაფერში არ სჭირდება. თუ დეკემბერში ევროკავშირი კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მოგვანიჭებს, ერთიორად გარანტირებული ექნება გამარჯვება.

– რაც შეეხება ახალი ძალის გამოჩენას, ე.წ. მესამე ცენტრის ფორმირებას, როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია თუ რთულად წარმოგიდგენიათ?

– თქვენს ფრაზას თუ გავიმეორებ, სიმართლე გითხრათ, რთულად წარმომიდგენია. ჯერ ერთი, ერთ წელიწადში ასეთი ცენტრის ფორმირება, ამომრჩევლის მობილიზება და მომხრობა, არ არის მარტივი ამოცანა.

– მიუხედავად იმისა, რომ 60 პროცენტი სიახლის მოლოდინშია?

– მიუხედავად ამისა. ერთი წელი არ არის დიდი დრო პოლიტიკაში.

– ბიძინა ივანიშვილის მაგალითი არ გამოდგება?

– ნაკლებად გამოდგება, რადგან ბიძინა ივანიშვილი სულ სხვა მოცემულობაში იყო. მართალია მან ერთ წელიწადში შეძლო არჩევნებში გამარჯვება, მაგრამ 20 წელი მას უკვე ჰქონდა ქველმოქმედის სახელი. ერთი სიტყვით, მას უკვე ჰქონდა რეიტინგი, ამის თქმა მინდა. პოლიტიკაში კი რეიტინგს, მოგეხსენებათ, რა ძალაც აქვს. იგივეს თქმა შემიძლია პაატა ბურჭულაძესთან დაკავშირებითაც. ბურჭულაძემაც პოლიტიკური განაცხადის გაკეთებისთანავე შეძლო დივიდენდების მოპოვება, მხარდამჭერების მობილიზება და მშვენიერი პოლიტიკური სიმღერაც შეეძლო, რომ არა პოლიტიკური გამოუცდელობა, რომ არა ნაციონალურ მოძრაობასთან გადაკვეთა. შემიძლია გითხრათ, რომ სწორედ პაატა ბურჭულაძეს შეეძლო მესამე ცენტრის ფორმირება, თუ ის იქნებოდა სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე, მაგრამ ეს უკვე წარსულია. ახლა, სიმართლე გითხრათ, მესამე ცენტრის შექმნა რთული ამოცანა მგონია.

„რუსეთში თუ არეულობა დაიწყება, ცხინვალი უკვე ჩვენსკენ შემობრუნდება“

გურამ ვახტანგაშვილი: „ახლა შეიძლება ვითარება ისე წარიმართოს, ჩრდილო ოსეთი შეგვეხვეწოს, საქართველოს შემადგენლობაში შეგვიყვანეთო“

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

გულიკო ბალაძე

– ბატონო გურამ, პრიგოჟინის ამბოხმა ცხინვალის ე.წ. ხელისუფლებასა და იქ მცხოვრებლებზე გავლენა თუ იქონია?

– ცხინვალში ოფიციალურად რა განცხადებებს აკეთებენ, არ ვიცი, მაგრამ 100%-ით დარწმუნებული ვარ, იმოქმედებდა იმის გამო, რომ ცხინვალის ე.წ. ხელისუფლება და თვითონ ცხინვალი 100%-ით თვითონ პუტინზეა დამოკიდებული. მათ პუტინმა შეუქმნა ვითომ რესპუბლიკა და ვითომ რაღაც.

პრიგოჟინი ბოლომდე რომ მისულიყო და მოსკოვში ცვლილებები განხორციელებულიყო, ცხინვალი უკვე (აფხაზეთზე არ ვლაპარაკობ, აფხაზეთის საკითხი უფრო რთულია) ჩვენსკენ იქნებოდა შემობრუნებული. ცხინვალის მიმხედი კაცი არ იქნებოდა და, იძულებული გახდებოდნენ, მოლაპარაკებაზე წამოსულიყვნენ.

ტერიტორიულადაც მათთვის ჩვენი მხარე მისადგომია, კავკასიის ქედია და გადასვლა-გადმოსვლა უძნელდებათ. აქეთ დედაქალაქიდან 100 კილომეტრითაა დაშორებული. ამიტომ შიგნით, რუსეთში ცვლილებები თუ იქნებოდა, მაგრად იმოქმედებდა.

გულში ვნატრობდი, 1921 წელს საქართველოს შემადგენლობაში ოლქი რომ შეიქმნა, ჩრდილო ოსეთის ე.წ. პარლამენტმაც (ეს დოკუმენტები არსებობს) გადაწყვეტილება მიიღო, რსფსრ-ში შესვლის მაგივრად, საქართველოს შემადგენლობაში შემოსულიყვნენ. მათი დელეგაცია აქაც იყო ჩამოსული.

ახლაც ვნატრობდი, თუ საქმე კარგად წავიდოდა და რუსეთში გადატრიალება მოხდებოდა ისეთნაირად, რომ მოსკოვში და მთლიანად რუსეთის ფედერაციაში 1%-იანი დემოკრატიის რამე თუ იქნებოდა, ჩრდილო ოსეთიც აქეთ, საქართველოს შემოუერთდება-მეთქი, მაგრამ მოსკოვამდე 200 კილომეტრში გააჩერეს.

– ისე, პრიგოჟინისაგან დემოკრატიას ელოდებოდით? ხომ იცით, მებრძოლია, სამხედრო.

– პრიგოჟინს გამოიყენებდნენ. რუსეთი დიდია, 140 მილიონ კაცში 140 კაცი მაინც გამოჩნდებოდა ცოტა ჭკვიანი. პრიგოჟინს თავის ადგილზე დასვამდნენ. რესპუბლიკები აირეოდა. რესპუბლიკების არევა ჩვენც არ გვაწყობს.

საქართველოს ისტორიაში მურმან ყრუს, თემურ ლენგს და ოსმალებს საქართველოსთვის იმდენი ზიანი არ მოუყენებიათ, რაც ლენინიანობამ მიაყენა. შიდა ქართლში, რაჭასა და კახეთში ჩადიოდნენ, ქართველებს იტაცებდნენ და უბედურება ტრიალებდა. საუკუნეების განმავლობაში დიდი უბედურება დაგვაწიეს.

ჩრდილო კავკასიაში არეულობა არ გვაწყობს. ისინი აუცილებლად ზღვაზე გასვლას მოითხოვენ და ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა გვექნება.

– ზღვაზე გასვლას მოითხოვენ, შეთანხმება შეიძლება. სატრანსპორტო დერეფანი – გზა იქნება და იმოძრაონ, როგორც წესი და რიგია, ვინ უშლის.

– კადიროვს ჭირი ელაპარაკოს.

– პუტინი თუ არ იქნება, კადიროვი იქნება?

– პუტინი თუ არ იქნება და რუსეთში არეულობა დაიწყება, ყველა რესპუბლიკა თავის გზაზე წასვლას მოიწადინებს. გემახსოვრებათ, რუსეთში 1996 წელს, დიდი ინფლაცია და დიდი ფინანსური პრობლემები რომ იყო, თათარისტანის პრეზიდენტმა ცალკე გამოყოფა მოითხოვა.

ახლა რუსეთში რა პროცესები დაიწყებოდა და რა მოხდებოდა, კაცმა არ იცის. დედა შვილს არ აიყვანს ხელში, ისეთი რაღაცები შეიძლება მომხდარიყო. მაინც მაგისკენ მიდის საქმე.

უკრაინა ომს მოიგებს. თუ ამოდენა ევროპას ერთმა რუსეთმა მოუგო, მაშინ სამართალი აღარ ყოფილა. რუსეთმა ომი რომ მოიგოს, სამართალი აღარ ყოფილა. უკრაინა მოიგებს და უკრაინასთან ერთად, ჩვენი როგორც ევროკავშირში, ისე ნატოში გაერთიანების საკითხი კარგად წავა.

თუ უკრაინა გვერდით დაგვიდგება (მგონი, გვერდით დაგვიდგება), უკვე ვეღარავინ გაგვიბედავს ტყვიის სროლას ვეღარც აღმოსავლეთიდან და ვეღარც ჩრდილოეთიდან.

– თათარისტანის გამოყოფის სურვილზე რომ საუბრობდით, შიგნით, რუსეთში, რუსეთისაგან გამოყოფის იდეები ცოცხლობს?

– ცოცხლობს. მით უმეტეს, თურქეთის გაძლიერების ფონზე, რადგან თათარისტანი, ვოლგისპირეთი და ასტრახანი ძირითადად თურქული მოსახლეობითაა დასახლებული. ერდოღანი ძალიან ჭკვიანია, როგორც აზერბაიჯანს დაეხმარა, ისე დაეხმარება. თუ რუსეთში სიტუაცია აირევა, მათ გვერდით დაუდგება, როგორც აზერბაიჯანს დაუდგა გვერდით და სომხეთის დახმარება რუსეთმა ვერანაირად ვერ გაბედა.

– ცხინვალიდან მეგობრები გიკავშირდებიან?

– დიახ, ძალიან შეშინებულები არიან. ბევრი ჰყავთ დახოცილი ე.წ. მოხალისეები.

– უკრაინაში?

– დიახ, უკრაინელების წინააღმდეგ საბრძოლველად მიჰყავთ. ბაზებიდან 50-60% გაყვანილი ჰყავთ, მათ შორის, ოსი ჯარისკაცებიც.

– შიგნით, რუსეთში არეულობა რომ დაიწყოს, ბაზებიდან ჯარისკაცებს მთლიანად გაიყვანენ თუ თვითონ წავლენ?

– მე რა ინფორმაციასაც ვფლობ, ახლა ბაზებზე რუსის კარისკაცები, ფაქტობრივად, აღარ არიან. გარკვეულ პოსტებზე ინფრასტრუქტურაში ძირითადად ოსები ჰყავთ დასაქმებული. შეიარაღებული ძალების 60-70% რუსეთშია გაყვანილი.

– თქვენ მოლაპარაკებები ახსენეთ, თუ შესაბამისი პირობები შეიქმნებოდა, ცხინვალში იძულებული გახდებოდნენ, ჩვენთან მოლაპარაკება ეწარმოებინათო. მოლაპარაკება როგორ წარმოგიდგენიათ?

– ჩვენი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით საქართველოს შემადგენლობაში. ერთადერთი, შეიძლება, ჩვენი ქვეყანა დათმობაზე წავიდეს და, როგორც აჭარას, ავტონომია მისცეს, შეიძლება ყველაზე დიდი სტატუსი, რაც ცხინვალს შესაძლებელია მიეცეს.

– მე სტატუსზე არ ვსაუბრობ. თვითონ განწყობები მაინტერესებს.

– განწყობებს უცებ შეიცვლიან, როგორც ჩვენ წინააღმდეგ განწყობები უცებ შეიცვალეს, ისე უცებ შეიცვლიან, შესაბამისი პირობები რომ შეიქმნება. მაგათთვისაც ძნელია. ცხინვალში 30 ათასი კაცი ცხოვრობს. ამ 30 ათას კაცს 100 ათასი კაცი თბილისსა და კახეთში ჰყავს ნათესავი, დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილები. ერთმანეთს ხომ ურეკავენ. ცხოვრების დონე მათთან შედარებით, ჩვენთან 1000-ჯერ მაღალია, ვიდრე – ცხინვალში.

ცხინვალი ჩაკეტილი ტერიტორიაა. ახალგაზრდისთვის ვლადიკავკაზსა და მოსკოვში წასვლა ძნელია. აქეთ ყველაფერი ადვილია. სწავლა და ევროპაში გასვლა, ჩვენგან უფრო ადვილად იქნება მაგათთვის, ვიდრე მოსკოვის გავლით.

თუ რუსეთში პროცესები ისე განვითარდება, როგორც ჩვენ გვინდა, 140 კაცი თუ არა 14 კაცი ხომ მაინც აღმოჩნდება ცხინვალში, რომ გონივრულად მოიქცნენ და ისევ საქართველოსთან დაიწყონ საერთო ენის მოძებნა. უცებ შეიცვლიან განწყობებს. ყველა ოსი იტყვის, ჩვენი ბრალი არ იყო, რუსები გვაძალებდნენო.

– თქვენ თქვით, რუსეთში მოვლენები ასე მშვიდად არ გაგრძელდებაო. შეიძლება რუსეთში ფედერაციული ერთეულების დეზინტეგრაცია დაიწყოს?

– ყველა ვარიანტში. 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ამ ომში უკრაინა და ევროპა გაიმარჯვებს. უკრაინის გამარჯვების შემდეგ, რუსეთში ისეთი ამბები დატრიალდება, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში. იქაც ხომ არიან ამ ომის მოწინააღმდეგეები. ამოდენა მილიარდები დაიხარჯა.

ახლა კიდევ ინფორმაცია გავიდა, რომ პრიგოჟინის უკრაინაში დაღუპული ჯარისკაცების (ეგენი ხომ გმირებად არიან შერაცხული და შესაბამის სასაფლაოზე არიან დამარხულები) სასაფლაოებს აუქმებენ.

– სასაფლაოს ვინ აუქმებს?

– ინფორმაცია რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გავიდა. სხვადასხვა ქალაქებში „ვაგნერის“ მებრძოლების სასაფლაოებია და იმ სასაფლაოებს აუქმებენ.

– ვაგნერელები პუტინმა მოღალატედ შერაცხა პრიგოჟინის ბუნტის გამო, ალბათ, ამიტომ აუქმებენ. ეს უკვე მათი ახლობლებისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორი იქნება.

– მათი მშობლებისა და შვილებისთვის რთული ასატანია. ვინც იქ ომობდა და დაიღუპა, ისინი ხომ, მათი აზრით, სამშობლოსთვის იბრძოდნენ, ჩვენი გადასახედიდან, სხვის ქვეყანაშია შესული და სხვის ქვეყანაში ომობს. მათი პროპაგანდით და მათი გადასახედით, ის დაღუპული ჯარისკაცები, ვინც უკრაინაში იბრძოდა, გმირები არიან, მაგრამ ახლა საფლავებს უუქმებენ.

– თქვენი აზრით, უახლოეს მომავალში შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ მოლაპარაკების გზით, ბრძოლის გარეშე ცხინვალის რეგიონი დავიბრუნოთ?

– ჩვენ, ქართველები, ბუნებით კაცთმოყვარე ხალხი ვართ. დღესაც ლაპარაკი და ცხინვალში შესვლა რომ იყოს, უცებ შევურიგდებით და ძველ წყენებს უცებ დავივიწყებთ. ოსებს არ ვაწყენინებთ.

ჩრდილო კავკასიაში ჩრდილო ოსეთი ერთადერთი ქრისტიანული რესპუბლიკაა. ყველა შეიძლება შევრიგდეთ: ჩვენ და აფხაზები, ჩვენ და ოსები შევრიგდეთ, მაგრამ არ არსებობს ვარიანტი, რომ ინგუშები და ოსები შერიგდნენ.

როგორც თბილისს მტკვარი ყოფს, ისე ვლადიკავკაზს, ე.ი. ორჯონიკიძეს თერგი ყოფს. თერგის მარცხენა სანაპირო, მთელი ქალაქი და მიმდებარე ტერიტორიები, რაიონები სულ ინგუშებით იყო დასახლებული. მე იქ ნამყოფი ვარ და ჩემი თვალით ნანახი მაქვს.

1992 წელს რუსის ჯარი მასობრივად შევიდა და იმ ტერიტორიებიდან ინგუშები გარეკეს. შემდეგ ცხინვალიდან ბოევიკები ჩაიყვანეს და სახლები მასობრივად გადაუწვეს.

ინგუშები პირველად 40-იან წლებში გადაასახლეს. 1992 წელს მსგავსი მოვლენები განმეორდა. როცა დაბრუნდნენ, მათ სახლებში ქართველები და ოსები ცხოვრობდნენ. ქართველებმა თავისუფლად დაუთმეს თავისი საწოლებით და ყველაფრით. ოსებმა არ დაუთმეს.

ახლა შეიძლება ვითარება ისე წარიმართოს, ჩრდილო ოსეთი შეგვეხვეწოს, საქართველოს შემადგენლობაში შეგვიყვანეთო.

– ყოფილა პერიოდი, როცა ინგუშებსაც უნდოდათ ქართველებთან ცხოვრება.

– თუ რუსეთში ვითარება აირ-დაირია, ინგუშები, ჩეჩნები და სხვები დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ და გარე სამყაროს ჩვენით, ზღვით დაუკავშირდებიან, რაც აქვთ, გაიტანენ.

2023, 10 ივლისი, №133

ირაკლი კობახიძე: „600 დღე კვდებოდა და ახლა აღარ კვდება“



მარიამ მჭედლიშვილი

გასული კვირაში გაუარესდა ურთიერთობები საქართველოსა და უკრაინას შორის. სიტუაცია ოფიციალურმა კიევმა გაამწვავა. ამის საბაბად უკრაინის ოფიციალურმა პირებმა დაასახელეს სააკაშვილის ფოტოები. ისინი გავრცელდა სასამართლო პროცესში კლინიკიდან მისი ჩართვისას. უკრაინაში გამოაცხადეს, რომ სააკაშვილი საშინლად გამოიყურება და მას შველა სჭირდება.

კიევის დემარში

კიევში 3 ივლისს სააკაშვილზე გაკეთდა მწვავე განცხადებები, საქართველოს ელჩს კი მოეთხოვა, 48 საათში დატოვოს უკრაინა და გაემგზავროს სამშობლოში მთავრობასთან საკონსულტაციოდ.

– ჩვენ არაერთხელ მოვუწოდეთ ოფიციალურ თბილისს, შეწყვიტოს ეს დაცინვა და შეთანხმდეს სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნებაზე... კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, გადმოსცეს სააკაშვილი უკრაინას საჭირო მკურნალობისა და მოვლისათვის, – განაცხადა პრეზიდენტმა ზელენსკიმ.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ სიტუაცია ასე განმარტა:

– სასამართლო პროცესის კადრების გამოქვეყნების შემდეგ ყველაფერმა პიკს მიაღწია, რის გამოც კიევმა მკვეთრი, მაგრამ სამართლიანი ნაბიჯი გადადგა – როდესაც სახელმწიფო რაღაცით უკმაყოფილოა, პირველი რეაქცია არის პროტესტი, მეორე არის ელჩის კონსულტაციებისთვის გამოძახება, მესამე დონე არის სთხოვო ამ ქვეყნის ელჩს, დატოვოს უკრაინა თავის მთავრობასთან კონსულტაციისათვის. დიპლომატიაში ეს უკიდურესად მკაცრი ფორმაა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამას იმსახურებს. მან უნდა გაიაროს კონსულტაცია თავის მთავრობასთან.

მოვლენები განვითარდა იმ დროს, როცა საქართველოს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი სამკურნალოდ სადმე გადაყვანა დღის წესრიგიდან თითქმის უკვე მოხსნილი იყო. ივნისის შუა რიცხვებში სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ საქართველოს პოლიტიკაში ბრუნდება და აქტიურდება.

კიევის დემარშის შემდეგ საქართველოს ელჩი უკრაინაში გიორგი ზაქარაშვილი 48 საათიანი ვადის გასვლამდე დაბრუნდა თბილისში.

წამოსვლამდე მან უკრაინის საგარეო უწყებას განუმარტა საქართველოს პოზიცია საკითხზე და განუცხადა, რომ „ის მოთხოვნა და შეშფოთება, რომელიც დაფიქსირებულია უკრაინის ხელისუფლების მიერ, არ შეესაბამება სიმართლეს, რაც დადასტურებულია სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებით და სხვა მრავალი ფაქტით“.

საქართველოს ხელისუფლებამ დაბრუნებულ ელჩთან კონსულტაციებზე უარი თქვა, ისიც დაადასტურა, რომ სააკაშვილის უკრაინაში ექსტრადირებას არ აპირებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ თუ კიევში სააკაშვილის ამბავი დეტალურად აინტერესებთ, მაშინ სხვანაირად უნდა მოიქცნენ:

– თუ უკრაინის მთავრობა დაინტერესებულია სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ მეტი ინფორმაციით, ჩვენი ელჩი კი არ უნდა გამოაგზავნოს კონსულტაციებისთვის, არამედ, უნდა დაასრულოს ის პროცედურები, რომლებიც ახალი ელჩის დანიშვნასთან დაკავშირებით არის დაწყებული.

– ჩვენ უკრაინის მიმართ ღირსეულ დამოკიდებულებას და მხარდამჭერ ნაბიჯებს გავაგრძელებთ – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბულია. ამ მომენტისათვის არც უკრაინას ჰყავს ელჩი საქართველოში და უკვე აღარც საქართველოს ელჩია უკრაინაში წარმოდგენილი.

❖ ❖ ❖

„600 დღე კვდებოდა და ახლა აღარ კვდება“

ვინაიდან კიევის დემარშის საბაბი პატიმარი ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა გახდა, ამ საკითხზე გასულ კვირაში ისევ აქტიური მსჯელობა იყო.

– 600 დღის განმავლობაში სააკაშვილი კვდებოდა. მადლობა ღმერთს, გავიდა ეს 600 დღე და აღარ კვდება – სტრასბურის სასამართლო დაეხმარა ამ გადაწყვეტილების მიღებაში, რომ აღარ უნდა მოკვდეს. ეს არის ძალიან კარგი, – თქვა კობახიძემ.

ანალიტიკოს ირაკლი ლატარიას თქმით, ექიმები სააკაშვილზე ყალბ დასკვნებს წერდნენ. ლატარიამ მოითხოვა მათთვის ლიცენზიების ჩამორთმევა და მათი პასუხისგებაში მიცემა.

ლატარიას სიტყვებით, ევროპულმა სასამართლომ „სააკაშვილი ყველგან გაამტყუნა როგორც საქართველოს, ისე უკრაინის წინააღმდეგ“.

❖ ❖ ❖

„ქართული ოცნება“ პრეზიდენტისა და „შარლ მიშელის დოკუმენტის“ წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ვეტო დაადო იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ცესკოს დაკომპლექტებას ეხება. ამ შესწორებით, კომისიის თავმჯდომარისა და წევრების წარდგენის უფლება პრეზიდენტის მაგივრად პარლამენტის თავმჯდომარეს ექნება.

პარლამენტის უმრავლესობამ პრეზიდენტის ვეტო დაძლია. მმართველმა გუნდმა ამით დაარღვია 19 აპრილის ცნობილი შეთანხმება. „ოცნების“ წევრებმა ეს აღიარეს და გამოაცხადეს, რომ აპრილის შეთანხმების ხელმოწერისას შეცდომა დაუშვეს.

– ჩვენი ამოცანაა, ნორმალური სამუშაო პირობები შეექმნას ცესკოს. მრავალპარტიულობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

❖ ❖ ❖

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან რუსეთის ჯარის გაყვანა მოითხოვა

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ მიღებულ დეკლარაციაში შეშფოთება გამოთქვა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გამო და ოკუპანტ რუსეთს მოთხოვნა წაუყენა.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ მოითხოვა, რომ რუსეთმა დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა გაიყვანოს თავისი სამხედრო ძალები საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად.

❖ ❖ ❖

შსს-მ მეუფე შიო მუჯირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

მეუფე შიოს საქმეს შსს იძიებს. საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, მეუფე შიოს შესაძლო მოწამვლის შესახებ ინფორმაცია „მთავარმა“ გაავრცელა. ამის შემდეგ კომენტარის გაკეთება მოუწია საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ ანდრია ჯაღმაიძეს.

– მეუფე შიოს სისხლში არის გარკვეული ცვლილებები – მძიმე მეტალების შემცველობა დაშვებულზე მაღალი აღმოჩნდა, – აღნიშნა მან.

მოგვიანებით ანდრია ჯაღმაიძემ საზოგადოებას აცნობა, რომ მეუფე თავს ნორმალურად გრძნობს და შრომისუნარიანია. მის ანალიზებს კი უცხოეთში იკვლევენ.

გავრცელებული ინფორმაციით, სულთმოფენობის დღეს, წირვაზე მეუფე შიო შეუძლოდ გახდა. გამოკვლევა ამის შემდეგ ჩაუტარდა. წყაროები საუბრობენ იმაზე, რომ მეუფე შიოს დროდადრო წამლავდნენ საპატრიარქოში, სადაც, როგორც ცნობილია, უცხო პირებს არ უშვებენ. შსს-მ მეუფე შიო მუჯირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ამ პროცესებს საეჭვოდ დაემთხვა საპატრიაქროს დამლაგებლის გარდაცვალება. გარდაცვლილი თანამშრომელი მოსაყდრის ოთახსაც ალაგებდა.

❖ ❖ ❖

ქვების სროლა საგარეჯოში

ბოლო დროს ქვეყანაში ძალადობის აზვირთება შეინიშნება. ინდივიდებზე თავდასხმების გარდა, აწიოკებენ ნაცმოძრაობის ლიდერებსა და აქტივს, რომელიც მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს. წინა კვირაში ამგვარი თავდასხმა კასპში შეკრებილ ნაციონალებზე მოხდა. 6 ივლისს ნაციონალებზე, ასევე, მათთან შესახვედრად მისულ მოქალაქეებზე იერიში საგარეჯოში მიიტანეს. თავდამსხმელები, რომელთა შორის მმართველი პარტიის ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლებიც იყვნენ, ქვებით იყვნენ შეიარაღებული.

❖ ❖ ❖

კონტრაქციის მონაწილეებმა პრაიდფესტივალი ჩაშალეს

8 ივლისს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, იზოლირებულ სივრცეში უნდა გამართულიყო „თბილისის პრაიდის“ კვირეულის დამამთავრებელი ღონისძიება – პრაიდფესტივალი. თუმცა, ის ჩაიშალა.

დაპირებების მიუხედავად, შსს-მ ვერ აასრულა დაპირება ფესტივალის უსაფრთხო ფორმატში ჩატარების თაობაზე.

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ ფესტივალის მოწინააღმდეგე კონტრაქციის მონაწილეები. მათ გაარღვიეს პოლიციელების კორდონები და ფესტივალის ჩატარების ადგილზე მიიჭრნენ. კონტრაქციაში ჩართულებიდან ბევრი შეიარაღებული იყო ქვებითა და დროშების ტარებით. ამ მომენტისათვის პოლიციელებმა მოასწრეს ფესტივალის მონაწილეების გარიდება, – ისინი რაფებით გაიყვანეს.

რადიკალებმა დაწვეს და დალეწეს ფესტივალის ინფრასტრუქტურა, ჯიხურებში განთავსებული გამაგრილებელი სასმელები კი დალიეს და წაიღეს.

მომხდარის გამო შეშფოთება გამოხატა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა. მან განაცხადა, რომ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კონტრაქცია წაქეზებული და ღიად მხარდაჭერილი იყო არა მხოლოდ მმართველი პარტიის განშტოებების, არამედ, მოქმედი დეპუტატების მხრიდან.

გაუწია თუ არა პოლიციამ ფესტივალის ჩამშლელებს სათანადო წინააღმდეგობა? ამაზე საზოგადოების აზრი გაიყო. ადამიანების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პოლიციამ დამრბევების წინააღმდეგ საკმარისი ძალები არ აამოქმედა.

❖ ❖ ❖

თანაინვესტირების ფონდის ყოფილ უფროს ბაჩიაშვილს ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი კრიპტოვალუტის მითვისებაში ადანაშაულებენ

თანაინვესტირების ცნობილი ფონდის ყოფილ უფროსს, გიორგი ბაჩიაშვილს, ბრალი წაუყენეს – მას ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი კრიპტოვალუტის მითვისებას ედავებიან. გამოძიების ინფორმაციით, მან 39 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ბიტკოინი მიითვისა.

სასამართლოს სხდომაზე ბაჩიაშვილმა განაცხადა, რომ დანაშაული არ ჩაუდენია.

მას აღმკვეთი ღონისძიების სახით 2 მილიონ 500 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. გამოძიების დასრულებამდე ბაჩიაშვილს, რომელიც საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეა, აეკრძალა ქვეყნის დატოვება.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო თავის წვლილს შეიტანს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დიდ მშენებლობაში“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, AUF-ის მხარდაჭერით, ქართველი სტუდენტები და მკვლევარები მონაწილეობენ საუნივერსიტეტო გაცვლით პროგრამებში ფრანკოფონიის წევრ ქვეყნებთან.

– გარდა ამისა, მიმდინარეობს კიდევ ერთი სასწავლო პროექტი საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციას (OIF) შორის „ეროვნული ფრანკოფონური ინიციატივების (IFN)“ პროგრამის ფარგლებში – ქართველი დიპლომატების სასწავლო პროგრამა ფრანგულენოვანი დიპლომატების კორპუსის გასაძლიერებლად.

იმედი მაქვს, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს საქართველოს აღზევებას ფრანგულენოვან ოჯახში, ფრანგულის სწავლების გაძლიერებას ქართულ სკოლებში და ამით ამ ენის უფრო ხშირ გამოყენებას დიპლომატიასა და პოლიტიკურ წრეებში.

ფრანკოფონია, ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც შედგება ქალებისა და მამაკაცებისგან, რომლებმაც იციან მშვიდობის, თავისუფლებისა და სოლიდარობის ღირებულებების მნიშვნელობა; თქვენ ჩვენ გადმოგვცემთ ჩვენთვის ძვირფას ღირებულებებს. განსაკუთრებით ამ რთულ პერიოდში მთელი მსოფლიოსთვის. საქართველო ამჟამად გადის დიდი გეოპოლიტიკური გამოწვევების პერიოდს, ამიტომ ჩვენი ვალია გავიაროთ ეს ეტაპი სიბრძნით და მოთმინებით, ვიყოთ ფხიზლად, ვიმოქმედოთ გონიერებითა და წინდახედულობით, ვიზრუნოთ მშვიდობის შენარჩუნებაზე და მივცეთ ქვეყანას განვითარების შესაძლებლობა, რათა დაკმაყოფილდეს ჩვენი მოსახლეობის მოლოდინები.

საქართველომ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან განსაზღვრა ევროინტეგრაციის გზა, ჩვენ ამ გზას მივყვებით ფრთხილად, დიდი მონდომებით და ნებისყოფით. ჩვენ ველოდებით ევროკომისიის გადაწყვეტილებას, რომ მივიღოთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. ჩვენი მხრიდან, ჩვენ მზად ვართ შევასრულოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გაცემულია და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ძალისხმევა დაფასდება და მალე საქართველო შეუერთდება ევროპულ ოჯახს.

უფრო მეტიც, მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანას შეუძლია დაიკვეხნოს იმით, რომ განხორციელდა ყველა ის რეფორმა, რამაც საქართველო წარმატებულ ქვეყნად აქცია კორუფციასთან ბრძოლაში, ბიუჯეტის გამჭვირვალობაში, ბიუროკრატიის შემცირებაში, ბიზნესის შექმნის ხელშეწყობაში, ჩვენ ჩვენი ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა გავხადეთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველო ფრანკოფონიის ასამბლეას პირველად მასპინძლობდა. უშუალოდ ასამბლეის საქმიანობაში კი საქართველო 2004 წლიდან დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთო.

ასამბლეა 8 ივლისს დაიხურა.

საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის და მიგრანტების გადაყვანის მცდელობის ფაქტზე სამი პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის და მიგრანტების გადაყვანის მცდელობის ფაქტზე სამი პირი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

უწყების ცნობით, დანაშაულები 4-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1976 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ვ.ქ. საკუთარ სატვირთო ავტომანქანაში მოწყობილი სამალავის მეშვეობით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით საპასპორტო კონტროლის გვერდის ავლით, მიგრანტების, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის, 1988 წელს დაბადებული ე.ო.-ს და უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქის, 1994 წელს დაბადებული ზ.ა.-ს უკანონოდ გადაყვანას ცდილობდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 19-344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მეუფე შიოს მოწამვლა – გამოძიება შესაძლოა შორენა თეთრუაშვილით დაინტერესდეს

მეუფე შიოს შესაძლო მოწამვლის საქმეზე გამოძიება შესაძლოა შორენა თეთრუაშვილით დაინტერესდეს. მასთან ერთად კი საგამოძიებო უწყებას კითხვები პატრიარქის მოსაყდრის გარემოცვის სხვა წევრებთანაც ექნება.

საქმეზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მეუფე შიოს შესაძლო მოწამვლასთან დაკავშირებით ინფორმაცია „მთავარმა არხმა“ გაავრცელა.

პარალელურად, 7 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპატრიარქოს დამლაგებელი, რუსუდან მაისურაძე გარდაიცვალა. როგორც ცნობილია, ის მეუფე შიოს ოთახს ალაგებდა. მაისურაძის ცხედარს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, უკავშირდება თუ არა მისი გარდაცვალება მეუფე შიოს შესაძლო მოწამვლის საქმეს. საპატრიარქოში ამ ორ საქმეს შორის კავშირს უარყოფენ.

შეგახსენებთ, 5 ივლისს „მთავარმა არხმა“ ინფორმაცია გაავრცელა, რომ პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიო მოწამლეს. მთავარ არხს წყაროები უყვებოდნენ, რომ მეუფე შიოს სისხლში დარიშხანის კვალი აღმოჩნდა.

სისხლში მომწამვლელი ნივთიერების არსებობის შესახებ ინფორმაცია 6 ივლისს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ანდრია ჯაღმაიძემ დაადასტურა. როგორც ჯაღმაიძემ აღნიშნა, საპატრიარქო მიიჩნევს, რომ მოწამვლასთან დაკავშირებით ინფორმაციის უტყუარად დადასტურებისთვის „დამატებითი კვლევები და გამოძიებაა საჭირო“.

მულახის გზაზე მანქანა მდინარეში გადავარდა, დაიღუპა 2 ახალგაზრდა

მულახის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა – მანქანა მდინარეში გადავარდა, შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა. მათი ცხედრები მდინარიდან უკვე ამოასვენეს. მანქანაში სამი ადამიანი იმყოფებოდა, ერთ-ერთმა მათგანმა მანქანიდან გადმოხტომა მოასწრო.

ავარია გვიან ღამით მოხდა. არსებული ინფორმაციით, უამინდობის გამო გზებზე დაბალი ხილვადობა იყო.

დაღუპული ახალგაზრდების ცხედრები თბილისში გადაასვენეს.

ბათუმში, ზღვაში დაღუპული ლუკა აბულაძის საქმეზე დაკავებულ სამ პირს აღკვეთი ღონისძიების სახით სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ზღვაში დაღუპული 16 წლის ლუკა აბულაძის საქმეზე დაკავებულ სამ პირს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

როგორც პროკურორმა თორნიკე გოგეშვილმა განაცხადა, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა სრულად გაითვალისწინა.

ამასთან, მისივე განმარტებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით ბრალდებულთა დანაშაული დასტურდება.

მისივე თქმით, სხვა დამატებით ვერსია საქმეში არ არსებობს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ზღვის სანაპიროზე არასრულწლოვნები იმყოფებოდნენ, ბრალდებულებთან შეთანხმებით მათი ზღვაში გაყვანა მოხდა. წყლის სწრაფმავალი კატარღა ნიშნულის რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით იმყოფებოდა, აღნიშნულის შემდგომ კატარღის მძღოლმა ანუ ერთ-ერთმა ბრალდებულმა რამდენიმე სწრაფი და მკვეთრი მანევრით ბავშვების ზღვაში გადაგდება სცადა, ყოველგვარი დამცავი საშუალების გარეშე ბავშვები ზღვაში ჩავარდნენ, ერთ-ერთმა ბრალდებულმა თანაბრალდებულებს არ მისცა ბავშვებისთვის დახმარების შესაძლებლობა, რის შემდგომაც სამმა არასრულწლოვანმა შეძლო ნაპირზე გამოსვლა, ხოლო ერთი ზღვაში დაიხრჩო, – განაცხადა თორნიკე გოგეშვილმა.

თავის მხრივ, ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი დავით ჩავლეშვილი აცხადებს, რომ დაცვის მხარე აღნიშნულ საქმეში დამატებით ვერსიაზე მუშაობს. უფლებადამცველი არ გამორიცხავს, რომ ბრალდება შეიცვალოს.

– ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა, ბრალდებულმა თავი შეიკავა სასამართლოზე, რადგან სხვა ვერსიები არსებობს და უნდა მოხდეს გადამოწმება. შესაძლოა, ბრალდება შეიცვალოს. დეტალურად ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებ, – განაცხადა დავით ჩავლეშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, სამი დღის წინ ოთხი მოზარდი ზღვაში ე.წ. საცურაო ბანანით უცხო პირებმა სასეირნოდ გაიყვანეს. ახლობლების თქმით, სამმა მათგანმა ნაპირზე გამოსვლა შეძლო, ხოლო 16 წლის ლუკა აბულაძე ზღვაში გაუჩინარდა. საქართველოს პროკურატურამ, არასრულწლოვანების მკვლელობის მცდელობის და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, სამ პირს ბრალდება წარუდგინა. ზღვაში დაღუპულ ლუკა აბულაძის საქმეზე დაკავებულია ნოდარ მამულაძე, ლუკა მარკოიძე და ზურაბ საღინაძე. დღევანდელ პროცესზე სასამართლო დაკავებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებაზე მსჯელობს. შეგახსენებთ, რომ ბრალდებულ ზურაბ საღინაძეს გამოძიება არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას ედავება, ხოლო ორ ბრალდებულს კი დანაშაულის შეუტყობინებლობას.

ონში ავტოსაგზაო შემთხვევას 11 წლის მოზარდი ემსხვერპლა

ონში ავტოსაგზაო შემთხვევას 11 წლის მოზარდის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა.

ტრაგიკულ ამბავთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს ონის მუნიციპალიტეტი და მომხდართან დაკავშირებით მწუხარებას გამოთქვამს.

– ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ონში მომხდარი ტრაგედიის გამო, რასაც 11 წლის თედო (ნიკოლოზ) მეტრეველის სიცოცხლე შეეწირა.

ვუსამძიმრებ ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს და გამძლეობას ვუსურვებ მათ, – ვკითხულობთ ონის მუნიციპალიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბორჯომის ცენტრალურ პარკში მკვლელობა მოხდა

ბორჯომის ცენტრალურ პარკში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა გუშინ, გამთენიისას, ცივი იარაღით ერთ პირს დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც აღნიშნული მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, სამართალდამცავებმა ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავეს.

მამინაცვლის მამა, რომელიც 9 წლის ბავშვის ცემის ბრალდებით იყო დაკავებული, სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა

რუსთავში, მამინაცვლის მამა, რომელიც 9 წლის ბავშვის ცემის ბრალდებით იყო დაკავებული, სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა.

როგორც ადვოკატი ამბობს, ბავშვმა გამოკითხვისას ცემის ფაქტი არ დაადასტურა.

შეგახსენებთ, რომ კაცი 7 ივლისს დააკავეს. ბავშვის ცემასთან დაკავშირებით ინფორმაცია თავდაპირველად აქტივისტმა რუსკა მჭედლიძემ გაავრცელა. მჭედლიძე წერდა, რომ მამინაცვლის მამამ ბავშვს „წიხლებით სცემა“, კაცის ცოლი კი ბავშვს მოკვლით ემუქრებოდა.

რას უნდა ველოდოთ ნატოს ვილნიუსის სამიტისაგან?

ამა წლის 11-12 ივლისს ვილნიუსში ნატოს სამიტი გაიმართება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საეჭვოა სამიტმა უკრაინას გაუგზავნოს ნატოში მიღების მოწვევა. ამავე დროს სამიტი უკრაინულ თემატიკას გვერდს ვერ აუვლის. კერძოდ:

1) შეიქმნება საბჭო ნატო-უკრაინა, რომელიც შეცვლის ამჟამად არსებულ კომისიას უკრაინა-ნატოს;

2) შეიქმნება ნატო-უკრაინის ერთობლივი ფონდი;

3) გაძლიერდება უკრაინისათვის იარაღის მიწოდება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტი ხელს შეუწყობს უკრაინისა და ნატოს კიდევ უფრო დაახლოებას. შეიქმნება წინამძღვრები უკრაინის გასაწევრიანებლად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

„ვაჟაობა“ ჩარგალში „ჩვენებურების“ კონცერტით აღინიშნება

ლუკა რაზიკაშვილის – ვაჟა-ფშაველას დაბადების დღე მის მშობლიურ ჩარგალში კონცერტით აღინიშნება.

ლელა რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას შთამომავალი:

– 14 ივლისი, ლუკა რაზიკაშვილის დაბადების თარიღად, პავლე რაზიკაშვილმა ჩაწერა ჩარგლის ეკლესიის დავთრებში. მას გული უგრძნობდა ალბათ, რომ წლების შემდეგ, ვაჟა-ფშაველას პოეზიის გასახსენებლად და ფშავის მშვენიერების სანახავად, ზაფხულის ეს ლამაზი დღე, ყველაზე მოსახერხებელი იქნებოდა!??

წელს 14 ივლისს, ვაჟას დღეს ფოლკლორული ჯგუფის, „ჩვენებურები“ კონცერტით ვხვდებით.

ჩვენი ინიციატივა, რომელიც ვაჟას კარმიდამოში ვაჟას ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სპექტაკლის წარმოდგენას გულისხმობს, წელს დავაპაუზეთ, რადგან სცენებზე ვაჟას ახალი სპექტაკლი ვერ ვნახეთ. იმედია თეატრალური კოლექტივები უფრო ხშირად მიმართავენ ვაჟას ნაწარმოებებს სასცენოდ და ჩვენს დიდი სიამოვნებით ვუმასპინძლებთ ყველა წარმოდგენას ჩარგალში.

მაშ ასე: 14 ივლისს, პარასკევს, დღის 14 საათზე, ჩარგალში, ვაჟას კარმიდამოში, ვაჟა-ფშაველას დაბადების 162 წლისთავის სადღესასწაულოდ, „ჩვენებურების“ კონცერტი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

აშშ-ის დაზვერვამ უკრაინის სამთავრობო სტრუქტურებში რუსული აგენტურული ქსელი გამოააშკარავა

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (ცსს) უკრაინის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში რუსული აგენტურული ქსელი გამოააშკარავა. ის მოიცავს სამთავრობო სტრუქტურებს, ბიზნესსტრუქტურებს, პრეზიდენტის აპარატს, შსს-ს.

– რუსული მეხუთე კოლონა დარაზმულია უკრაინის პრეზიდენტის ოფისის თავკაცის ერმაკის გარშემო, – აცხადებს სუკის ექსპრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი.

ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც დღეს უკრაინაში გამართულად მუშაობს, არის არმია. ეს მისი სარდლის, გენერალ ვალერი ზალუჟნის დამსახურებაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

2023, 10 ივლისი, №133

ინციდენტი კიევო-პეჩერსკის ლავრაში

კიევო-პეჩერსკის ლავრის გარშემო, როგორც ჩანს, ახალი ციებ-ცხელება იწყება. აქ მყოფმა ბერებმა, რომლებიც თავს უწოდებენ მოსკოვის საპატრიარქოს მოძღვრებს, უარი თქვეს ლავრის დატოვებაზე. უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის მომხრენი ამაოდ მოითხოვდნენ, რომ მათ ლავრა დაეტოვებინათ. პასუხად ისმოდა უცენზურო გინება და წყევლა-კრულვა.

– ზელენსკი ამერიკის დანიშნულია და არა უკრაინელი ხალხის არჩეული! მალე მას დედას...

ზოგიერთი მორწმუნე არც ამ ლექსიკას ერიდებოდა, არც ქვების სროლას. მეტიც, ისინი მოითხოვდნენ, რომ პუტინს უკრაინის დაბომბვა გაეგრძელებინა. უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში რუსები უკრაინას ლამის ყოველდღე ბომბავდნენ, მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელნი კი ნიშნის მოგებით გაიძახოდნენ:

– უფალი უკრაინას სჯის!

ნათელია, რომ ასეთი საქციელი მრევლის უმრავლესობის აღშფოთებას იწვევდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ზელენსკი რადიკალურ მოქმედებებს ერიდებოდა. მოსკოვის საპატრიარქოს მრევლმა კი ეს სისუსტედ აღიქვა. მრევლის წევრები ლავრის ტერიტორიაზე მიდიოდნენ, იგინებოდნენ და უკრაინელ მღვდლებზე ფიზიკურ ანგარიშსწორებას აპირებდნენ. ლავრის ტერიტორიაზე მუშტიკრივიც გაიმართა. საქმეში პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო. მიუხედავად ამისა, ზელენსკი რადიკალური მოქმედებებისაგან მაინც თავს იკავებდა.

დაუსჯელობამ მოღალატენი გაათამამა. ყველაფრის კულმინაცია რუსების მიერ ლვოვის დაბომბვა გახდა. ლავრის ტერიტორიაზე მოსულმა მოსკოვის საპატრიარქოს წევრებმა ხმამაღალი გალობა დაიწყეს. ისინი აცხადებდნენ, რომ ლვოვი სატანის ბუდეა და დიდიან-პატარიანად უნდა განადგურდეს. ამან მოთმინების ფიალა აავსო. მთელი კიევი ლავრას მიაწყდა.

პოლიცია მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერია საქმეში. მან მოსკოვის საპატრიარქოს მომხრენი დაიცვა. მათ ლავრის ტერიტორია პოლიციის კორდონის თანხლებით დატოვეს. ეს ბუნებრივია.

სინამდვილეში, სდევნიან არა მორწმუნეებს, არამედ ჯაშუშებსა და დივერსანტებს, რომლებიც ლავრაში გამაგრებას ცდილობდნენ. არაერთგზის დაფიქსირდა შემთხვევა, როცა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა იარაღი, ანტიუკრაინული შინაარსის ლიტერატურა, მოსკოვის საპატრიარქოს მომხრე მღვდელმთავრები კი უკრაინას სატანის წარმონაქმნს უწოდებდნენ.

ამრიგად, ბოლოს და ბოლოს განხორციელდა რადიკალური ღონისძიებანი კიევო-პეჩერსკის ლავრის მიმართ. ეს ხალხის ზეწოლით მოხდა. რელიგიურ საფარს ამოფარებული დივერსანტების ალაგმვა აუცილებელი იყო. ეს საკმაოდ დაგვიანდა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ბაიდენმა უკრაინას კასეტური ბომბები გადასცა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი თანახმაა, რომ უკრაინას კასეტური ბომბები გადასცენ. ამის თაობაზე იუწყება გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“

აღნიშნული გადაწყვეტილება როგორც უკრაინელი დეპუტატების, ისე ამერიკელი კონგრესმენების (როგორც რესპუბლიკელების, ისე დემოკრატების) ზეწოლით იქნა მიღებული.

ამას გარდა, აშშ მზადაა, მისცეს უკრაინას უსაფრთხოების ისეთივე გარანტიები, როგორიც აქვს ისრაელს.

პენტაგონი უკრაინელთა კონტრშეტევის შესახებ

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ კალიმ შეაფასა უკრაინელთა კონტრშეტევა. მან განაცხადა, რომ უკრაინა სუსტ ადგილებს ეძებს რუსეთის თავდაცვაში.

– პირველი წარმატებები სახეზეა, თუმცა საბოლოო დასკვნების გამოტანა ნაადრევია, – ამბობს ამერიკელი.

უკრაინას შორსმსროლელი რაკეტები სჭირდება

უკრაინის პრეზიდენტმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ მის ქვეყანას შორსმსროლელი რაკეტები სჭირდება.

– უამისოდ ვერც თავდაცვით და ვერც შეტევით ოპერაციებს ვერ განვახორციელებთ, – თქვა ზელენსკიმ.

ბრძოლა ბახმუტისათვის

ბახმუტისათვის ბრძოლები გრძელდება. უკრაინელები აგრძელებენ წინსვლას ფლანგებზე. კერძოდ, მათ მიერ დაკავებულია სტრატეგიული მნიშვნელობის დასახლებული პუნქტი კლესჩივკა. ამით ბახმუტი მთლიანად ხაფანგში მოექცა.

თავდაცვის მინისტრის მოადგილის ანა მალიარის ცნობით, უკრაინელებმა წინ წაიწიეს უშუალოდ ბახმუტში და კიდევ რამდენიმე ქუჩა გაათავისუფლეს.

– რუსეთს აღარ გააჩნია ძალები ბახმუტის შესანარჩუნებლად, – თვლის ბრიტანეთის დაზვერვა.

ბრძოლები უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე

უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ბრძოლებია. მტერი განსაკუთრებით აქტიურობს ლიმან-სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. შედარებით დაეცა ოკუპანტების აქტიურობა ავდეევკასა და მარინკასთან.

სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით რუსებმა კონტრშეტევის წამოწყება სცადეს, მაგრამ, ამაოდ. ასევე წარუმატებლად დამთავრდა კონტრშეტევები ლიმანის, ავდეევკის და მარინკის მიმართულებით.

საინტერესო ვითარება შეიქმნა ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებში. უკრაინელებმა წამოიწყეს შეტევის ახალი ფაზა. პასუხად რუსებმა ხერსონის ოლქში დიდ ძალები გადაისროლეს.

არის შესაძლებლობა მთელი ხერსონის ოლქის გათავისუფლებისა და ყირიმზე დარტყმისათვის.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.074, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.953, არტილერია – 4.346, თვითმფრინავები – 315. განადგურებულია 234.000 ოკუპანტი.

რუსები უკრაინას კვლავაც ბომბავენ

დანაკარგებით გაცოფებულმა რუსებმა გააძლიერეს უკრაინის დაბომბვა. დაიბომბა ქალაქები დნეპრი, კრივოი-როგი, კიევი, ლვოვი, ნიკოპოლი, ოდესა.

მათი დიდი ნაწილი ჩამოგდებულ იქნა, ნაწილი, სამწუხაროდ, მიზანს მოხვდა. ლვოვში განადგურებულია საავადმყოფო, სპორტული მოედნები, ბავშვთა ოთახი და ა. შ. დაღუპულთა რაოდენობამ 14-ს მიაღწია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა ქორწილის წინ ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკის აიოვას შტატის ქალაქ ბერნარდის მკვიდრმა ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი მას შემდეგ მოხსნა, როდესაც წინა დღეს შეყვარებულმა ცოლად გაყოლაზე თანხმობა განუცხადა.

31 წლის ნიკ მილერი უზომოდ იყო გახარებული იმის გამო, რომ მისმა მეგობარმა გოგონამ ლორენ ტიმერმანმა ხელის თხოვნაზე თანხმობით უპასუხა. ნიშნობის მეორე დღეს ახალგაზრდა მამაკაცი ძმასთან ერთად, რომელთან ერთადაც მესაქონლეობითაა დაკავებული, ყავის და სადილისთვის პროდუქტის საყიდლად მაღაზიაში შევიდა.

მაღაზიაში მისი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი 400 ათას დოლარამდე იყო გაზრდილი და გადაწყვიტა, ბილეთი შეეძინა.

– მანქანაში დავბრუნდი და პირველ რიგში ბილეთი შევამოწმე. როდესაც დავინახე, რომ სამი ციფრი დაემთხვა, თვალებს ვერ დავუჯერე და გათამაშების შედეგები მობილური ტელეფონის დანართით გადავამოწმე. დავრწმუნდი, რომ მართლა გამარჯვებული ვიყავი, – იხსენებს ბედნიერი ამერიკელი.

მილერის მოგებამ 390 ათასი დოლარი შეადგინა. მისი თქმით, ეს ფული მას მომავალში ცხოვრებაში ძალიან დაეხმარება.

– ეს ფული ქორწილის გადახდასა და სახლის შეკეთებაში ძალიან დაგვეხმარება, – განაცხადა მილერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

20 წლამდე ნაკრების წაგება და მოგება

ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ასპარეზობა საქართველოს 20 წლამდე ნაკრებმა წარუმატებლად დაიწყო. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა უკრაინასთან 27 ქულით 55:82 წააგო.

მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველივე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც ჩვენმა გუნდმა 11:25 დათმო, მართალია, მეორე ათწუთეულში თამაში გამოასწორა და ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირა, მაგრამ მესამე პერიოდიდან სლავები კვლავ გააქტიურდნენ, უპირატესობა 20 ქულამდე გაზარდეს და დარჩენილ დროში ქართველები ამაზე ახლოს არ მიუშვიათ.

უკრაინელთა გამარჯვება დიდწილად 4 კალათბურთელის დამსახურებაა: ალეკსანდრ კობჭინსკის (19 ქულა, 10 მოხსნა), ჰლებ ბატალსკის (17 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ვიტალი შიმანსკის (15 ქულა) და ბოგდან ბრინიუკის (15 ქულა). საქართველოს ნაკრებში 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა დაძლია – გუგა ნაცვლიშვილმა 14 ქულა მიითვალა.

უკრაინასთან სადებიუტო მარცხის შემდეგ კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა კოსოვოს სძლია – 80:70 და ჯგუფიდან გასვლის შანსები დაიტოვა.

ჩვენს გუნდს კოსოვოსთან საკმაოდ დიდი ბრძოლა გადახდა. პირველი პერიოდის შემდეგ ქართველები 16:23 იგებდნენ, მაგრამ ეს სხვაობა მეორეში აღმოფხვრეს და დიდ შესვენებაზე ლიდერის ამპლუაში გავიდნენ – 34:32. ეს უპირატესობა 6 ქულამდე გაიზარდა მე-3 პერიოდის შემდეგ, მაგრამ გადამწყვეტ ათწუთეულში კოსოველებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს – 66:66. აქ გარდამტეხი ეპიზოდი 2 სამქულიანი გახლდათ, რომელიც სერგი ნინუამ და გიორგი ოჩხიკიძემ მიყოლებით ჩააგდეს, საქართველო 72:66 დაანინაურეს და გამარჯვებულის ვინაობაც გაცხადდა.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო ბაქარ ბერეკაშვილმა იყო, რომელმაც 23 ქულა, 15 მოხსნა და 2-2 პასი და დაფარება მიითვალა. 14 ქულა გიორგი ოჩხიკიძემ, 13 – სერგი ნინუამ, 12 – გიორგი სულაბერიძემ და 10 – გუგა ნაცვლიშვილმა მიითვალეს.

საქართველოს ნაკრები მორიგ მატჩს 11 ივლისს, შვედეთთან გამართავს. სკანდინავიელები ფავორიტები არიან, რომლებსაც 2-დან 2 მოგება აქვთ. შვედეთმა ქართველების მძლეველ უკრაინას 83:80 მოუგეს.

ბათუმური ფინალის დრამატული დასასრული

ინგლისი-ესპანეთი 1:0
ბათუმი. აჭარაბეთ არენა
1:0 ჯოუნსი (45)
მატჩის 90-ე წუთზე რუისმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

ინგლისი: ტრეფორდი, გარნერი, კოლუილი, ჰერვუდ-ბელისი, აარონსი, სმით-როუ (მადუეკე 66), ჯოუნსი, გიბს-უაითი (არჩერი 73), ანხელ გომესი (სკიპი 73), პალმერი (ელიოტი 82), გორდონი (დოილი 82)

ესპანეთი: ტენასი, ვ.გომესი (ბარენეჩეა 74), პარედესი, პაჩეკო, მირანდა, ბლანკო (კამელიო 83), ბაენა (ოროსი 59), სანსეტი (ვეიგა 59), როდრი (რიკელმე 59), ს.გომესი, რუისი

ბათუმში, „აჭარაბეთ არენაზე“ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატის ფინალი ინგლისსა და ესპანეთს შორის ისეთი გამოდგა, როგორიც სატიტულო მატჩს ეკადრებოდა. უდრამატულესი დასასრულით, რამაც საბოლოო გამარჯვება ბრიტანელებს მოუტანა – 1:0.

გამარჯვების გოლი პირველი ტაიმის ბოლოს გავიდა – კოულ პალმერის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი კერტის ჯოუნსს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და არნაუ ტენასის კარში შევარდა.

ესპანელები ბევრს წერენ, რომ ეს გოლი წესების დარღვევით გავიდა, რადგან ჯოუნსი ხელს „ცოცხალ კედელში“ მყოფ ესპანელებს უშლიდა. ასეა თუ ისე, ბურთი ჩაითვალა.

მატჩის მთავარი კულმინაცია კი, მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მეექვსე წუთზე დატრიალდა – მსაჯმა ინგლისელთა კარში პენალტი დანიშნა. ბურთთან აბელ რუისი მივიდა, მაგრამ ჯეიმს ტრეფორდმა 11 მეტრიდან დარტყმული ბურთიც მოიგერია, შემდეგ აიმარ ოროზის დამატებულიც აიღო, ხოლო კამელოს დარტყმული მიზანს ასცდა.

ინგლისის ნაკრებმა ტურნირზე ჩატარებული ექვსივე მატჩი მოიგო, თანაც ისე, რომ გოლი არ გაუშვია. ინგლისის ნაკრებმა ისტორიაში მესამედ მოიგო ევროპის ჩემპიონის ტიტული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან განმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

თორნიკე გოგებაშვილი: „ეს ყველაფერი გუნდური მუშაობის შედეგია“

შავი ლომი ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის, ჩელენჯ თასის გათამაშებაში რომ ჩაერთვება, უკვე ვწერდით. შეგახსენებთ, ჯგუფურ ეტაპზე შავი ლომის მეტოქეები ფრანგული კასტრი და კლერმონი, ინგლისური გლოსთერი, შოტლანდიური ედინბურგი და უელსური სქარლეთსი იქნებიან.

საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე გოგებაშვილი ამბობს, რომ ევროპის საკლუბო რაგბის ოჯახში შავი ლომის მიღება გუნდური მუშაობის შედეგია.

თორნიკე გოგებაშვილი:

– ქართული რაგბის დიდი ხნის ოცნების ასახდენად მოლაპარაკებები 1 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ფაქტობრივად შეუძლებელს მივაღწიეთ. ეს არის საკლუბო ტურნირების მწვერვალი, რაც კიდევ უფრო მეტი წინსვლის შესაძლებლობას მოგვცემს. დიდი მადლობა ჩელენჯ თასის ხელმძღვანელობას ქართული და გლობალური რაგბისთვის მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებისთვის.

ამ ყველაფერში უდიდესი წვლილი მიუძღვის მთელს გუნდს – სოსო ტყემალაძეს, რომლის ღვაწლი განუზომლად დიდია ქართული რაგბის ბოლოდროინდელ წარმატებებში; ბაჩო ხურციძეს, რომლის ინიციატივაც იყო შავი ლომის შექმნა და დღეს, დაარსებიდან 2 წლის თავზე, ეს ფრენჩაიზი დიდი ევროპული საკლუბო რაგბის ოჯახის წევრი ხდება; ასევე მადლობა ნიკა ალავიძეს და ლევან ღვაბერიძეს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მოლაპარაკებებში; რაგბის კავშირის ყველა თანამშრომელს და, რა თქმა უნდა, მორაგბეებს, რომელთა თავდადება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა.

ეს უდიდესი წარმატებაა არა მხოლოდ ქართული რაგბისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის და მასში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს მთავრობას, რომლის თანადგომის გარეშე ეს ბედნიერი დღე ვერ გვექნებოდა.

რაგბი გუნდური სპორტის სახეობაა და სწორედ ამ გუნდურობის დამსახურებაა, ჩვენთვის ევროპის საკლუბო რაგბის კარი რომ გაიხსნა. დარწმუნებული ვარ, შავი ლომი, ქართული სარაგბო ელემენტებითა და ღირებულებებით კიდევ უფრო საინტერესოს გახდის ტურნირებს. კიდევ ერთხელ ვულოცავ სარაგბო ოჯახს და ჩვენს ქვეყანას ამ წარმატებას – გუნდურობა ოცნებებს ახდენს.

პირველ ქართულ ფრენჩაიზს უცხოურ მედიაში აღტაცებით შეხვდნენ და წარმატება უსურვეს. გადავხედოთ, რას წერენ უცხოურ მედიაში შავ ლომზე:

დომინიკ მაქეი, ტურნირის ორგანიზატორის თავმჯდომარე:

– ტურნირში შავი ლომის ჩართვა და ჩიტაზის დაბრუნება ასახავს ჩვენ უწყვეტ მოვალეობას, გავაფართოოთ ტურნირი და წარმოვაჩინოთ ახალი და საინტერესო ტალანტები მსოფლიოს რაგბის გულშემატკივრებისთვის. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ – ქართველთა ჟინი და ფიზიკურობა უფრო გაზრდის ტურნირის დაძაბულობას.

დეილი მეილი:

– ელიტური რაგბის კარიბჭის დამსხვრევაზე საქართველოს ამბიციურმა იმედებმა დამატებით კიდევ ერთი სტიმული მიიღო – მათი სანაკრებო ფრენჩაიზი ევროპულ შეჯიბრებებში ერთვება. აღმოსავლეთ ევროპელებმა გამარჯვებები საერთაშორისო ასპარეზზეც მოიპოვეს (უელსთან და იტალიასთან) და უფრო მეტად განვითარების ნიშნებიც ჩანს: გასულ თვეში მათმა 20 წლამდე ნაკრებმა ინგლისი დაამარცხა. ბორჯღალოსნებიც მუდმივად ამტკიცებდნენ, რომ პლანეტის საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ გაუმჯობესების გასაგრძელებლად მეტი თამაში

სჭირდებათ. ეს საუბრები კვლავ გრძელდება ტესტების თვალსაზრისით, რადგან მსოფლიო რაგბი ცდილობს, თავისი ახალი სტრუქტურა 2026 წლიდან ახალი ჩემპიონატის განხორციელებით დაასრულოს, რომელიც მალე დადასტურდება. მაშინ, როცა საქართველოს საუკეთესო მორაგბეები საფრანგეთის კლუბებში თამაშობენ, რაგბის კავშირი ბევრს მუშაობს შინაური რაგბის გასაძლიერებლად. მათ 2021 წელს შექმნეს ფრენჩაიზი შავი ლომი და ახლა 2023-24 სეზონიდან ისინი ჩელენჯ თასზეც ითამაშებენ.

პლანეტ რაგბი:

– ამ ტურნირზე შავი ლომის ისტორიული დებიუტია, ისინი მე-3 ჯგუფში არიან და სტუმრად ჩელენჯის ძირძველ ჩემპიონებს გლოსთერს და კლერმონს ეთამაშებიან, ხოლო სახლში კასტრს და სქარლეთსს მიიღებენ.

რაგბი ევროპის სუპერთასის ზედიზედ ორჯერ მოგების შემდეგ შავი ლომი მზადაა ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლოს და საუკეთესოებს შეეჯიბროს: საფრანგეთიდან, ინგლისიდან და სხვა ჩემპიონატიდან. როდესაც ჩვენ მორაგბეებს ელიტურ მოწინააღმდეგეებთან თამაშის საშუალება მიეცათ, შედეგმაც არ დააყოვნა და ეს თვალნათლივაც გამოჩნდა ჩვენი ეროვნული და 20 წლამდე ნაკრების შედეგებიდან. წინა წლის ნაკრების წარმატებული სვლიდან ჩანს, რომ ეს ქართული რაგბისთვის მნიშვნელოვანი მომენტია, რათა მომავლისკენ დიდი ნაბიჯი გადაიდგას.

ბიბისი:

– ქართული შავი ლომი და აფრიკული ჩიტაზი მიწვეული გუნდის სტატუსით 2023-24 სეზონის ჩელენჯ თასში ჩაერთვებიან. ამ ორი გუნდის დამატებით ორგანიზატორებმა ჯგუფური ეტაპის 18 გუნდი საბოლოოდ გამოაცხადეს. ტურნირი ისევ ჯგუფურ ფორმატს დაუბრუნდა და მისი სტარტი დეკემბერშია დაგეგმილი.

რაგბიპას:

– ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან შავი ლომი ხდება პირველი ქართული კლუბი, რომელიც პროფესიულ ტურნირში იასპარეზებს.

შავი ლომის ჩელენჯში ჩართვას ასევე ცნობილი გამოცემები გამოეხმაურნენ, როგორიცაა ბრიტანული თაიმსი და რაქი აფრიკული სუპერ სპორტი, ევროსპორტი, პლანეტსპორტი, ჟურნალი წორლდ რაგბი, ბარონსი, აფრიკის რაგბის კავშირი, ფრანგული რტე სპორტი, ფრანს 24, რაგბი და სხვა.

ასევე სოცმედიის საშუალებით მოგვესალმნენ ჩვენი ჯგუფის წევრები, ისტორიულად ქართველებით დახუნძლული კლერმონი და გიორგი კვესელაძის ყოფილი ინგლისური კლუბი გლოსთერი.

სხვათა შორის, კვესელაძე შავ ლომში ითამაშებს და უკვე ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

შვიდქალა ნაკრებმა ისტორიულ შედეგს მიაღწია

საქართველოს 7-ქალამ რაგბი ევროპის ალაფის მეორე, ბუდაპეშტის ეტაპი არსებობის ისტორიაში საუკეთესო, მესამე პოზიციაზე დაასრულა. ორი ეტაპის ჯამში, გოგონებმა ფინეთის მსგავსად 30 ქულა მოაგროვეს, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩნენ და მეოთხე ადგილს დასჯერდნენ, რაც ჩვენი გუნდის საუკეთესო შედეგია.

ტურნირი მძიმედ დავიწყეთ. აუტსაიდერად მიჩნეული დანია ლელოთი დაწინაურდა, რაზეც მანონი საღარაძემ იქვე უპასუხა და ტაიმი 5:5 დასრულდა. მეორე ტაიმის შუაში გოგონებმა ბურთი კარგად გაათამაშეს, შედეგად ირმა გულიაშვილმა სუფთად გაჭრა ხაზი და ლელო ძელებს შუა გაიტანა, მაგრამ გარდასახვა ძელს მოხვდა. მალე მანონი საღარაძემ დუბლი გაიფორმა და პირველი შეხვედრა 15:5 დასრულდა.

მოლდოვასთან მანონი საღარაძემ პირველი ლელო შეხვედრის დებიუტშივე გაიტანა. საქართველო უპირატესობას ფლობდა, თუმცა შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორე ტაიმში საქართველოს უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, მარიამ გოგუაძემ მარცხენა ფრთაზე მცველს ორჯერ შემოურბინა და ჩვენმა გოგონებმა 15:0 იმარჯვეს.

ჯგუფურ ეტაპზე მთავარ კონკურენტ ფინეთთან, ჯაბა მალაღურაძის შეგირდებმა საწყისი 5 წუთი კარგად ჩაატარეს, ნათია გავაშელიშვილმა ჭრაზე თეონა ჩიტაიშვილი შეიყვანა და მე-2 წუთზე დავწინაურდით. ორიოდე წუთში, არეული თამაშის შემდეგ სალომე საღარაძე მცველებს გაექცა და 10:0 დაგვაწინაურა. ტაიმის მიწურულს ირმა გულიაშვილმა ბოლომდე იბრძოლა და ლელოსგან გვიხსნა, მაგრამ ბოლო წამებზე 5 ქულა მაინც გავუშვით. მეორე ტაიმის შუაში ფინეთმა მეორე ლელოც გაიტანა და გარდასახვით დაწინაურდა. შეხვედრის დასკვნითი წუთები საქართველომ შეტევებში გაატარა, მაგრამ უპირატესობა ვერ გამოიყენა და მეტოქეს გარდასახვით ჩამორჩა – 10:12.

ჯგუფურ ეტაპზე მეორე ადგილის დაკავების შემდეგ, ჯაბა მალაღურაძის შეგირდები მეოთხედფინალში ლატვიას შეხვდნენ. თამაში საქართველოს უპირატესობით წარიმართა. თეონა ჩიტაიშვილმა ერთი, ხოლო მარიამ გოგუაძემ მეტოქეს ორი ლელო გაუტანა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გოგუაძის მეორე ლელო, რომელიც 95-მეტრიანი შეტევის შედეგად გავიდა. სულ ბოლოს მეტოქემ ერთი ლელო გაქვითა და შეხვედრა 15:5 დასრულდა.

ნახევარფინალში, მომავალ ჩემპიონ უკრაინასთან, ტაიმის ბოლოს, ჩვენები ნაკლულნი დარჩნენ, მეტოქე 19 ქულით დაწინაურდა, საბოლოოდ კი, 33:0 გაიმარჯვა.

ასეთი შედეგის მიუხედავად, 7-ქალა მესამე ადგილისთვის მატჩში მობილიზებული გამოვიდა და ფინეთთან ჯგუფურ ეტაპზე განცდილი მარცხისთვის (10:12), ღირსეული რევანში აიღო. პირველი 7 წუთი საქართველომ მეტოქის ნახევარზე გაატარა, ხისტი ბოჭვებით ფინეთს გასაქანი არ მისცა, თავად კი ერთ ლელოს დასჯერდა. მანონი საღარაძემ მცველი ცრუმოძრაობაზე დაიჭირა და ხაზი გაჭრა, სალომე საღარაძემ კი გარდასახა.

მეორე ტაიმში მანონიმ ერთხელაც გაიბრწყინა, ხაზი ამჯერად ჩვენს ნახევარზე გაჭრა და 60-მეტრიანი რეიდი ლელოთი დაასრულა. ტაიმის მიწურულს ფინეთმა შეძლო ერთი ლელო-გარდასახვის გაქვითვა, მაგრამ გოგონებმა მათ მეტის საშუალება არ მისცეს და ბუდაპეშტის ეტაპი მესამე ადგილზე, ხოლო ჯამში მეოთხე ადგილით დაასრულეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ეუსებიო დი ფრანჩესკო: „კვერნაძეს დრო სჭირდება“

ფროზინონეს ახალი მთავარი მწვრთნელი ეუსებიო დი ფრანჩესკო კლუბმა მედიის წინაშე წარადგინა. იტალიელმა სპეციალისტმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა, სადაც ჩვენთვის საინტერესო გიორგი კვერნაძეზეა საუბარი. დი ფრანჩესკოს თქმით, კვერნაძე გუნდს კარგად უნდა მოერგოს, რადგან მარცხენა გარემარბია და ფროზინონეს სათამაშო სქემა კი, 4-3-3 იქნება.

ეუსებიო დი ფრანჩესკო:

– უცხოეთიდან რომ ჩამოდიხარ, ადაპტაციისთვის მინიმალური დრო მაინც საჭიროა. ასევე უნდა გავიგოთ მისი თვისებები და ხასიათი. კვერნაძესთან ჯერ ვარჯიში არ ჩამიტარებია, მაგრამ ნელ-ნელა გავაუმჯობესებთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდური თვალსაზრისით. დრო კი, რა თქმა უნდა, დასჭირდება. თამაშის სისტემა არ არის დინამიურია. 4-3-3-ით დავიწყებთ, რომელიც იქნება საორიენტაციო წერტილი, მაგრამ სხვა პრინციპებიც საჭიროა. მშვიდად ვარ და დარწმუნებული, რომ შევძლებთ მიზნების მიღწევას, მათ შორის სერია ა-ში დარჩენას.

კვერნაძეზე კლუბის სპორტულმა დირექტორმა გვიდო ანჯელოციმ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქართველის სჯერა, მაგრამ ისიც იცის, რომ იტალიურ ფეხბურთთან ადაპტაციისთვის დროც დასჭირდება. ანჯელოცი კვერნაძესა და ხვიჩა კვარაცხელიას ერთმანეთს არ ადარებს. მისი თქმით, კვარა სერია ა-ში უფრო გამოცდილი და დაღვინებული მივიდა.

გვიდო ანჯელოცი:

– კვარაცხელიას არ ვადარებთ. მათ საერთო მხოლოდ სათამაშო პოზიცია და აგენტი ჰყავთ. კვერნაძეს ბევრი კარგი თვისება აქვს, მაგრამ დრო უნდა მივცეთ, რათა გაიზარდოს. მისი ძალიან მჯერა, მაგრამ ამას დრო სჭირდება. შეუძლია მეტოქის მოტყუება, გოლის გატანა, მაგრამ ეს ყველაფერი იტალიის ჩემპიონატში უნდა აჩვენოს, რაც ძალიან რთულია. კვარას იტალიაში ჩამოსვლამდე უკვე ჰქონდა სხვა გამოცდილება, უფრო მზად იყო. კვერნაძე მხოლოდ 20 წლისაა, რომელმაც თავის სამშობლოში ითამაშა უმაღლეს დივიზიონში, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატი განსხვავებულია.

შეგახსენებთ, კვერნაძე ფროზინონეს ფოთის კოლხეთიდან ერთწლიანი იჯარით და გამოსყიდვის უფლებით შეუერთდა.

იტალიური კლუბი სერია ა-ს პირველ ტურში 19 აგვისტოს ნაპოლის უმასპინძლებს.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მცირე ამპლიტუდის რხევები; 2. იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი, მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 3. საცხოვრებელი სათავსო სახლის სხვენზე; 4. გამცემლობა, ვერაგობა; 7. კათოლიკური ჯვარი; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 14. მდინარე სამეგრელოში; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 17. მუსლიმთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 20. პოეტი, სახალხო მთქმელი შუა აზიაში.

თარაზულად: 5. სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება; 6. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 8. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 10. ღია ლურჯი ფერი – ცის ეპითეტი; 11. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აღნუსხავდნენ მემატიანეები; 16. ვაზის ხეივანი; 18. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 19. ხელოვნების მუზეუმი პარიზში; 21. მონასტერი სამაჩაბლოში; 22. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 23. ასპირინის გამომგონებელი გერმანელი ქიმიკოსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ინსინუაცია; 2. ლემაური; 3. თერაპია; 4. დროშა; 5. სუბოქტი; 6. ფიჭვი; 7. ბომბორა; 9. იაკუძა; 13. ბურჟე; 17. ტუში; 18. ტბა.

თარაზულად: 1. იურმალა; 3. თამადა; 8. სუნამო; 10. გულიაში; 11. შნეკი; 12. მაკლერი; 14. ტანძია; 15. არაბული; 16. ტატრა; 19. ჩაჟაში; 20. ბავარია; 21. მწნილი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დიპლოპეა; 2. ყინჩი; 3. ერისტიკა; 4. ქემელი; 7. ქნარი; 9. ბზობა; 12. ალმადოვარი; 14. ხუანხე; 15. ქვაწვია; 17. კიკერსი; 20. თეთრა.

თარაზულად: 5. ყინწვისი; 6. გორგაძე; 8. მიჩმანი; 10. აფროდიტა; 11. დევიზა; 13. სტაპელი; 16. ხაჭაპური; 18. ჰინდი; 19. ცაიში; 21. ვეფხვი; 22. მინისტრი; 23. მიუსერა.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

10 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5930

ევრო — 2.8248

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3100

100 რუსული რუბლი — 2.8354

ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება სურს

ბარსელონას ყოფილ ფორვარდს ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება სურს, რადგან პსჟ-ში ის ბედნიერი არ არის და თვლის, რომ გუნდის გულშემატკივრები მას სათანადოდ პატივს არ სცემენ. გარდა ამისა, ნეიმარს ბარსელონაში ბევრი მეგობარი ჰყავს და ის ნანობს იმ ფაქტს, რომ თავის დროზე მან ეს გუნდი დატოვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონა ჯერჯერობით არ აპირებს ნეიმარის შეძენას.

მესის დებიუტი ინტერ მაიამიში 21 ივლისს შედგება

ლიონელ მესის დებიუტი ინტერ მაიამიში 21 ივლისს შედგება და სწორედ იმ პერიოდში გუნდს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაიამი საკმაოდ ცუდად თამაშობს ბოლო პერიოდში და გუნდი გასავარდნ ზონაში იმყოფება. მესის თამაშს გულშემატკივარი მოუთმენლად ელის, რადგან მისი წყალობით გუნდს შანსი ექნება, გასავარდნ ზონას დასცილდეს.

ტომას მიულერი ბაიერნიდან წასვლას არ გამორიცხავს

მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთი ლიდერი ტომას მიულერი ბოლო სეზონებში არცთუ სტაბილურად გამოიყურება და ზოგჯერ ის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრასაც ვერ ახერხებს. ამის გამო არ არის გამორიცხული, რომ მიულერმა გუნდი დატოვოს, თუმცა ჯერჯერობით ბაიერნს ამის თაობაზე კონკრეტული შეთავაზება არ მიულია. მიულერი ბაიერნში 2009 წლიდან თამაშობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

მოსამართლე ქალს ეკითხება:

– რატომ გინდათ ქმართან განქორწინება?

– განსხვავებული რელიგიური შეხედულებების გამო.

– კონკრეტულად?

– ქალღმერთად არ მაღიარებს!

•••

პოლიციის პატრული გზაზე წინ მიმავალ მანქანას წამოეწია და ხედავს, უკანა მინაზე გაკრულია წარწერა, რომ ავტომობილი სასწრაფოდ იყიდება. მითითებულია გამოშვების წელი, ძრავის მოცულობა და მფლობელის ტელეფონის ნომერი. პოლიციელებმა გადაწყვიტეს, დაერეკათ და მერე მანქანის მართვისას ტელეფონით საუბრისთვის დაეჯარიმებინათ. ასეც მოიქცნენ, სხვადასხვა დეტალს ეკითხებიან, მძღოლი კი მათ ხმამაღალი კავშირით პასუხობს. ბოლოს პოლიციელი ეუბნება:

– შენი ხმა ცუდად ისმის, ტელეფონი აიღე და ისე მიპასუხე.

– ავიღებდი, მაგრამ უკან ორი პი...ტი მომყვება...

•••

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორს ახალბედა პარაშუტისტი ეკითხება:

– თუ გადახტომის შემდეგ არც ძირითადი და არც სათადარიგო პარაშუტი არ გაიხსნება, მიწამდე რამდენ ხანს ვიფრენ?

– მთელი დარჩენილი ცხოვრება.

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, მანქანას ვყიდულობ და ფული დამიმატე რა.

– რა ღირს?

– 25 ათასი.

– რამდენი გინდა?

– 30 ათასი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნანი ბრეგვაძემ ბუბა კიკაბიძეს სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ ბუბა კიკაბიძეს სიმღერა მიუძღვნა. „ყვავილების ქვეყანა" მან აზერბაიჯანელ მომღერალ ემინ აგალაროვთან ერთად ჩაწერა.

სიმღერა ბუბა კიკაბიძეს ემინთან ერთად თავად უნდა ემღერა, დუეტის ჩაწერა დაწყებული იყო, თუმცა მისი გარდაცვალების გამო ვერ დასრულდა. სიმღერა ემინმა დუეტში ნანი ბრეგვაძესთან ერთად იმღერა და ბუბა კიკაბიძის ხსოვნას მიუძღვნა.

„ყვავილების ქვეყანაზე" ვიდეორგოლი რეჟისორმა ზაზა ორაშვილმა „გარდენიაში" გადაიღო.

დემნამ ოტ კუტიურ შოუ გამართა

საფრანგეთის დედაქალაქში ქართველმა დიზაინერმა დემნამ ოტ კუტიურ შოუ გამართა. მისი ახალი კოლექციის ჩვენებას დიზაინერის დედა და მომღერალი ზემფირა დაესწრნენ.

ბალენსიაგას 2023 წლის ოტ კუტიურ შოუზე **დემნამ** ჟურნალისტებს განუცხადა:

– ჩვენი ინდუსტრია, სამწუხაროდ, კრიტიკულ მდგომარეობაშია, იმიტომ, რომ სავსეა ყალბი კრეატიულობით. ოტ კუტიური ერთადერთი გზაა მოდის ნამდვილი არსის საჩვენებლად. ის ანტივირუსს ჰგავს. მოდერნაა – ბოლომდე ვერ დაგიცავს, მაგრამ მაინც შეუძლია ხაზი გაუსვას იმუნიტეტის შენარჩუნების მნიშვნელობას.

ტრადიციული გაგებით მსოფლიოში ოტ კუტიურის მომხმარებლები არიან ისინი, ვინც დიორის და შანელის კუტიურ კლიენტებად ითვლებიან, დაახლოებით 300-400 ადამიანი. ამ ნახევარს ვიცნობ. 100 მათგანის დაპატიჟებაც მოვახერხეთ. ჩვენების შემდეგ, 3 დღე ვმართავდი მათთან შეხვედრებს. ჩემს კოლექციას პანკ-კუტიური უწოდეს. მე ასე არ ვხედავ, მაგრამ სასიამოვნო იყო ამის მოსმენა. დიდ კომპლიმენტად მივიღე, რომ შვილებთან ერთად მოვიდნენ. ისინი თვლიან, რომ ახალ თაობას განსაკუთრებით მოვწონვარ.

„თბილისი ოფენ ეარის" სასცენო დეკორაციები განადგურებულია

ფესტივალ „თბილისი ოფენ ეარის" ტექნიკა და სასცენო დეკორაციები დაზიანებული და განადგურებულია:

– სასტიკად ვგმობთ ჩვენი ფესტივალის ტერიტორიაზე განხორციელებულ ვანდალურ ქმედებებს, რომლებსაც ხელისუფლების მიერ წახალისებული ძალადობრივი პრორუსული ჯგუფები ახორციელებდნენ.

ჩვენი ფესტივალის ტერიტორიას, ლისი ვანდერლანდს, იჯარის საფუძველზე ვქირაობთ ყოველწლიურად და მასზე განთავსებული ინვენტარი ფესტივალის საკუთრებაა.

ტერიტორიაზე შეჭრილმა აგრესიულმა ჯგუფებმა არა მარტო პრაიდ ფესტის, არამედ ჩვენი და ჩვენი ფესტივალის პარტნიორების კუთვნილი ქონება დააზიანეს, გაანადგურეს ან მიითვისეს.

გატეხილია ჩვენი საწყობი და მოპარულია ხელსაწყოები, ასევე დაზიანებული ან განადგურებულია ფესტივალის კონსტრუქციები, სასცენო დეკორაციები, ჩვენი პარტნიორების კუთვნილი სარეკლამო საშუალებები.

ეს არის კერძო ტერიტორიის მიზანმიმართული განადგურება, ინვენტარის დაზიანება და ძარცვა. შსს-თან თანამშრომლობისა და დახმარების მიღების მცდელობის მიუხედავად, პასუხად მივიღეთ უარი, ამიტომ გამოვიძახეთ ფესტივალის კერძო დაცვა, რათა აღარ გაგრძელდეს ტერიტორიის განადგურება, თუმცა რა კადრებიც გავრცელდა, ისედაც ცხადია, რომ საქმე გვაქვს დიდ ზარალთან, რომლის ანაზღაურებასაც ვითხოვთ ხელისუფლებისგან, რომელმაც წაახალისა ველური ჯგუფები და ხელი შეუწყო როგორც პრაიდ ფესტის ჩაშლას, ასევე ჩვენი ფესტივალის ტერიტორიის მიზანმიმართულ განადგურებას, რაც საათების განმავლობაში გრძელდებოდა, პოლიციის თანამშრომლები კი მხოლოდ ბრბოდან ნაცნობების გამორჩევითა და მათი ჩახუტებით შემოიფარგლებოდნენ.

„თბილისი ოფენ ეარი" 14-წლიანი გამოცდილებით სწორედ მრავალფეროვნების, თანასწორობისა და სიყვარულის იდეაზე დგას. დაუშვებლად მიგვაჩნია ყოვლად ამორალური და ადამიანური ღირებულებებისგან დაცლილი ძალადობრივი ჯგუფების უკანონო ყოფნა და ქმედება „თბილისი ოფენ ეარის" ტერიტორიაზე, იქ, სადაც ათი ათასობით ადამიანი სწორედ თავისუფლების, თანასწორობისა და მრავალფეროვნების გარშემო იკრიბება.

ის, რაც აგრესიულმა ჯგუფებმა ჩაიდინეს საფესტივალო ტერიტორიაზე, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მტრების ინტერესებში შეიძლება შედიოდეს. სიყვარული სიყვარულია! – ნათქვამია ფესტივალის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

„არტ გენი" 20 წლისაა

ფესტივალი „არტ გენი" 20 წლის იუბილეს ზეიმობს. ტრადიციულად ფესტივალი წელსაც ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ გაიმართება.

20 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით ფესტივალის სტუმრებს მრავალფეროვანი პროგრამა და გამოფენა-გაყიდვები ელოდება.

ფესტივალს გახსნის ფოლკლორი სამეგრელოდან და სამაჩაბლოდან. „არტ გენის" სტუმრების წინაშე წარდგებიან ანა უზნაძე, „მუსიკელი", „სახიობა". დასკვნითი კონცერტისთვის კი სცენა „სუხიშვილებს" დაეთმობა.

მიშო სულუხიას ფილმის პრემიერამ ესპანეთში წარმატებით ჩაიარა

მომღერალმა მიშო სულუხიამ საკუთარი შესაძლებლობები რეჟისურაშიც სცადა და თავისი პირველი ნამუშევარი ესპანეთში წარადგინა. ჩვენებამ დიდი წარმატებით ჩაიარა:

– ჩემი ფილმის ჩვენებამ ესპანეთში ზედმიწევნით კარგად ჩაიარა. პირველად ვიყავი ამპლუაში, სადაც დარბაზში შეკრებილი ინტერნაციონალური მაყურებლის რიგებში ვიჯექი და ეკრანზე საკუთარ ნამუშევარს ვუყურებდი. ჩვენება ძალიან მყუდრო და საინტერესო გარემოში გაიმართა. ფილმის ჩვენების შემდეგ მოვისმინე ბევრი საინტერესო და პოზიტიური აზრი. განსაკუთრებული იყო ბრიტანელი სტუმრების აზრი, სადაც საქართველოს მისი არქიტექტურითა და სილამაზით თავიანთ ქვეყანას ადარებდნენ ჯერ კიდევ 1919 წლის საარქივო ვიდეო მასალების მიხედვით. იყვნენ სტუმრებიც, რომლებიც ქართველი ქალბატონის სიძლიერესა და სიმამაცეზე საუბრობდნენ. როგორც ვატყობ, ფილმს სხვა ქვეყნებიც მიიწვევენ.

ფილმი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქალბატონის ელიზაბედ ნაკაშიძის ხსოვნას ეძღვნება.

პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს უნივერსიტეტს, აუდიო ვიზუალური ხელოვნების ფაკულტეტს, რომელმაც მომცა საშუალება ამ პროექტზე მუშაობის.

დიდი მადლობა ნათია კაკაბაძეს, რომელმაც საოცრად უმასპინძლა მთელს ამ პროექტის სტუმრებს. ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც პროექტის ქართულ და ესპანურ მხარეებს შორის კოორდინაციისა და ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. სტაჟიორი ადვოკატი ბრიტანეთში; 2. ტყის ვაშლი; 3. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 4. სახელმწიფო ევროპაში; 5. უმცროს მეთაურთა წოდება არმიაში; 6. ვულკანი ისლანდიაში; 7. ოპერა „დაისის" პერსონაჟი; 9. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 13. ბგერის ნახევარტონით ასამაღლებელი სანოტო ნიშანი მუსიკაში; 17. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 18. მანძილის საზომი ძველი ფრანგული ერთეული.

თარაზულად: 1. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 3. ერთი ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი; 8. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 10. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 11. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 12. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 14. მოქანდაკის, მხატვრის სახელოსნო; 15. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 16. დაბალი, გრძელი ტანის მქონე მონადირე ძაღლის ჯიში; 19. ქულა ძიუდოში; 20. ქართველი პრიმაბალერინა; 21. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა